



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დადოქტრინის მხარდებით მუშაობს

№37 (9.651)

4 - 11 ოქტომბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

რთველი – ახალი მიდგომებით

მევენახეობა მომავლიანი ბიზნისი გახდება...



„რთველი-2014“ დადოქტრინის მხარდებით 14 აგვისტოს დაიწყო და საქართველოს ბოლოს დასრულდა. ისევე როგორც შარშან, ნელსაც ყურძნის რეაგონირების დასაწყისში უკვე პრობლემები დადოქტრინის მხარდებით მკვეთრად გამოვლინდა. ახლამ ხელისუფლებამ რთველის წარმართვის კველ მეთოდებზე უარი საგოლოოდ თქვა და პროდუქციის გასაღების ახლებური ფორმა შესთავაზა გლეხებს. ხამაღლა ითქვა, რომ ყურძნის ვაჭარების გაცემა არაფრადმართი იყო, ხოლო მღვინეებისთვის, მინარამებისა თუ საჭარო მოხალეებისთვის ყურძნის იშუაბით მიყიდვა-დანახაული.

ზაზა ქავთარაძე არხილოსკალოელი მევენახეა. როგორც ის ამბობს, საკუთარ ვენახში საფერავიც დაკრიფა და რქანიტეიც. გვალვის გამო მოსავლით უკმაყოფილოა, მაგრამ აღიარებს, რომ მონეული მოსავლის რეალიზაცია არ გასჭირვებია. „რთველი ნელს საკმოდ კარგად და ორგანიზებულად ჩატარდა, ყურძნის ფასიც მალალი იყო. მე

კმაყოფილი ვარ, თუმცა, სარწყავი სისტემაც რომ მოწესრიგებული ყოფილიყო, ვენახის მოვლას უკეთ შევძლებდი და მოსავლითაც მეტად კმაყოფილი ვიქნებოდი“ - აღნიშნა ზაზა ქავთარაძემ.

მეველედ სარდალაშვილი სამთანყაროში ცხოვრობს. მათი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ვენახია. საქართველოში რთველი პირველად ამ სოფლიდან იწყება. ამიტომაც, წლების განმავლობაში მოსავლის რეაგონირებული პრობლემებიც და საპროტესტო აქციებიც სამთანყაროდან იწყებოდა. ნელს სოფლის მოსახლეობა მთავრობის უყურადღებობას არ უჩივის, პირიქით, რთველის მიმდინარეობით კმაყოფილია. „გვალვის მიუხედავად, ნელს ჩვენ ყურძნის კარგი მოსავალი გვექონდა, რადგან ვენახი მოვრწყეოთ. ყურძნის ჩაბარებისას ღვინის ქარხნებთან რიგში არავინ ვმდგარვართ საათობით და არც რეალიზებული პროდუქციის საფასურის აღება გავგჭირვებია. მოსავლიც კარგი გვექონდა და ფასითაც კმაყოფილები ვართ“ - ამბობს მეველედ

სარდალაშვილი. ბესიკ ზაქაძე: „ნლევანდელი რთველი მართლაც შეიძლება შეფასდეს, როგორც წარმატებული. ბოლო წლებში არსებული სიტუაციისგან მკვეთრად განსხვავებული, კარგი გარემო იყო შექმნილი. მე მოსავალიც კარგი მქონდა და თანხაც უკვე ავიღე“.

რთველის მიმდინარეობას აფასებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ „ნელს დედოფლისწყაროში რთველმა პრობლემების გარეშე ჩაიარა. ყურძნის ფასით ყველა მევენახე კმაყოფილია. საფერავის ფასმა ნელს რეკორდულ ნიშნულს მიაღწია - 1,70-დან 2 ლარსა და 10 თეთრამდე გაიზარდა, ხოლო რქანიტელის ფასი 1 ლარსა და 1,20 ლარს შორის მერყეობდა. ყურძნის არცერთი მტევანი, მათ შორის დაზიანებულიც, გლეხებს ჩაუბარებელი არ დარჩენიათ. ნლევანდელი რთველის შედეგად მოსახლეობის შემოსავალმა 4 მილიონ ლარს გადააჭარბა“.

უკვე ორი წელია, აქილევსის ქუჩაზე მდებარე პროდუქციის რეალიზაციის საპროექტი გა-

დაწყვიტეს და ხელისუფლების მხრივ ჩარევის მქონე მნიშვნელოვანი დაუბინავებელი არ რჩება. რთველის დროს მათი ინტერესები მაქსიმალურად იყო დაცული, მათ ყურძენი საკმოდ ხელსაყრელ ფასად ჩააბარეს, ყურძენი შეზღუდვებისა და ხელისშემშლის გარეშე დააბინავეს, სუბსიდის მისაღებად არ ჭირდებოდათ ბანკებზე დამატებით მიმართვა, ეს უკვე გადადის ტენდენციამ და თუ ინვესტორი ამ ტენდენციას ხედავს, ბუნებრივია, ის ამ დარგში მიმართავს ინვესტიციას.

ამასთან, ის ადამიანები, ვინც დაინტერესებული არიან, რომ დააბანდონ ფული ამ სფეროში და გააშენონ დამატებითი ვენახები, ხედავენ, რომ კონიუქტურა არის ძალიან დადებითი. რთველის პროცესის მალალი დონის ორგანიზებულობა, სუბსიდირების მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ღვინის კომპანიების მხრიდან მოთხოვნის ზრდას, იაფი კრედიტის სისტემა, ექსპორტის ნახალი სება — ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში ინვესტორს ინვესტიციის მხრიდან ვენახების გაშენების დაინტერესებას. ჩვენი ინტერესია, რომ ვენახები გაშენდეს არა მარტო კახეთში, არამედ ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში გურიაში და ყველა იმ მევენახეობის ზონაში, რომელსაც ისტორიულად ძალიან დიდი ტრადიციები ჰქონდა მევენახეობის განვითარების კუთხით, რაც დაეხმარება ქართული ღვინის მრავალფეროვნების წარმოქმნას“ - აცხადებს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი.

მოსახლეობა კი, რომლის შემოსავლის წყაროსაც და ცხოვრების წესსაც ვენახის მოვლა და არა მისი გაჩენა წარმოადგენს, მათი უნდა იყოს დაინტერესებული ვენახის მოვლაში და არა მისი გაჩენაში. როგორც დარგი, უფრო

ნახეობის სექტორს 15-თვიანი შეღავათიანი, ანუ 6%-იანი, სესხები შესთავაზა. შეღავათიანი კრედიტით გაიცა 50 მილიონამდე ლარის სესხი. ხელისუფლების ინფორმაციით, ის არც ფასისა და არც შესასყიდი ყურძნის რაოდენობის განსაზღვრისას ოფიციალურად არ ჩარეულა.

ამასთან, სახელმწიფოს კონტროლქვემ არსებული კომპანიები ყურძნის ძირითადი შემსყიდველები აღარ არიან. პროგრამაში მენარმების ჩართვა ნებაყოფლობითია, ანაზღაურება კი ვაუჩერის გარეშე, პირდაპირ ხდება. ყურძნის ფასსაც ზაზარი არაშეზღუდვით-მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად, სახელმწიფო მხრივ შუამავლის როლს ასრულებს მევენახეობა და მინარამებულს შორის. ღვინის სუბსიდირების პირობებში კი ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ვენახის არათუ გაჩენის, მისი გაყიდვის სურვილიც აღარაქონს გაუჩნდება, რადგან მეღვინეობა, როგორც დარგი, უფრო

იმევენახეობის ზონაში, რომელსაც ისტორიულად ძალიან დიდი ტრადიციები ჰქონდა მევენახეობის განვითარების კუთხით, რაც დაეხმარება ქართული ღვინის მრავალფეროვნების წარმოქმნას“ - აცხადებს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი.

ინგა შილაშვილი

საპატიმრო დადოქტრინის მხარდებით სკოლა გახსნა

გვ. 5

26 ახალგაზრდა თავდასვის საინინსტროს უნიარაღებული კალაბის სამსახურში!

გვ. 3

ვაშლოვანს დიდი მომავალი აქვს

გვ. 2

სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

გვ. 3

ვაშლოვანს დიდი მომავალი აქვს

რამდენიმე დღის წინ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ოფისის უცხოელი სტუმრები: ფრანგი ერვე ლენი და რუმინელი ტატიანა სტატინას ენევიენენ. სტუმრები, ჩვენი რაიონის დაცული ტერიტორიებით დაინტერესდნენ, არა როგორც რიგითი ტურისტები, არამედ, როგორც ევროსაბჭოს საპატიო დელეგატები. მათი ვიზიტის მიზანი გახლდათ ფუნდამენტურად შეესწავლათ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, მისი ფლორა და ფაუნა. ამასთან ერთად მათი გეგმა გახლდათ, შეხვედროდნენ და გაცნობოდნენ ჩვენი რაიონის ოფიციალურ მხარეს, კერძოდ, რაიონის ხელმძღვანელობას, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, არასამთავრობო სექტორს და ურბანულსტრუქტურას. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, გამგეობის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, დედოფლისწყაროს გამგეობის არასამთავრობო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სპეციალისტი ხათუნა ქოქუაშვილი, ვაშლოვანის ადმინისტრაციის დირექტორი ნინო ხარაშვილი, ქაჭუხას ალკეტილის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი ნათია ზურაბიძე, რეინჯერთა სამსახურის უფროსი ვაჟა ჩერქეზიძე, მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი, დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის წარმომადგენელი ამირან კოდიასვილი და თავად ვაშლოვანის ადმინისტრაციის მენეჯერი მერაბ ფოროსმანაშვილი.

დეგ, რაც განაცხადი მივიღეთ, ჩვენს ორგანიზაციაში შეიკრიბა სპეციალური საკომისიო ექსპერტთა ჯგუფი, განიხილეს განაცხადი და მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება, განეგრძოთ მუშაობა, სწორედ ამიტომ ვართ დღეს ჩვენ აქ, ჩვენი მიზანია, დაცული ტერიტორიის ადგილზე შეფასება. ჩვენი კონსულტანტი ევროსაბჭოში გახლავთ ბატონი ერვე ლენი, რომელიც კარგად იცნობს ევროპის ნაწილს და ის თავად გაგაცნობთ თავის მისიას თქვენს ქვეყანაში. "განაცხადი შეხვედრებზე ტატიანა სტატინასგან".

ჩვენი მისიის ფარგლებში შეხვედრით ადგილობრივებს თბილისში, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ადგილზე შეხვედრა, როგორც ხელმძღვანელობასთან, ასევე, ადმინისტრაციასთან, იმათთანაც, ვინც ამ ტერიტორიების გარშემო ცხოვრობენ. მე ვარ ევროსაბჭოს მიერ დაქირავებული პირი, ვარ ექსპერტი დაცული ტერიტორიების საკითხში და ვასრულებ მისიას, რათა გავეცინო ვაშლოვანს ადგილზე. კრიტერიუმები

- რას ნიშნავს დიპლომის მინიჭება, რა სიკეთეს მოუტანს ის ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს და რა შეიცვლება დიპლომის მინიჭების შემთხვევაში ჩვენი დაცული ტერიტორიისთვის? - განაწილა კითხვა.

„დიპლომთან არ აღიქმება არანაირი ფინანსური დახმარება, დიპლომის მინიჭების მოთხოვნა უპირველეს ყოვლისა, არის ევროპული ინტერესი, იქ არის ჯილდო, რომლითაც შეუძლია იამაყოს ამ დაცულმა ტერიტორიამ. ამ დიპლომით ეს ტერიტორია ევროსაბჭოს პატრონაჟის ქვეშ დგება და არის განახლებადი, თუ ის კრიტერიუმებს პასუხობს. გამოიცემა რეზოლუცია, სადაც არის რეკომენდაციები და რჩევები, საკითხები, რომელიც უნდა გამოსწორდეს. ეს განხილავთ გარკვეულწილად იარლიყი, რომელიც გახდება თქვენი საფიზიკო ბარათი. ეს იქნება კავშირი და გამოცდილებების გაზიარება ევროპის სხვა დაცულ ტერიტორიებთან, რათა გავაუმჯობესოთ იქ არსებული გარემო, ეს განხილავთ მთავრობის მხარდაჭერა

დაცული ტერიტორიისთვის. თამამად და საკმაოდ ხმაშლილი შემთხვევაა განაცხადი, რომ ის ფლორა და ფაუნა, რაც არის ვაშლოვანში, ეს განხილავთ ნამდვილი, ბუნებრივი, ველური ბუნება, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ევროდიპლომს. ის სიმდიდრე, რაც გვაქვს ვაშლოვანის სახით, აუცილებელია მისი ამ სახით შენარჩუნება, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვის. მე ახლახანს გახლდით გერმანიაში და იქ დავათვალიერეთ „შვარცვალდის“ დაცული ტერიტორია, რომელიც, როგორც ვიცი, ევროდიპლომის მატარებელია, თუმცა, მინდა დავძინო, რომ მის დაცულ ტერიტორიაზე ხელოვნური ხეებიც ვნახე, ამკარაა, იქ ბუნებრივი ხეები არაა და ხელოვნურად ცდილობენ აღადგინონ ტყე-პარკი, მაშინ, როდესაც ჩვენ ეს ყველაფერი ბუნებრივი და ხალასი გვახდია. მეორეს მხრივ, ეს აღიარება, ევროდიპლომს ვგულისხმობ, (თუ მიეწიება და ჩემის აზრით, ღირსეულია, რომ მიენიჭოს) სარგებლობს მოუტანს მუნიცი-



ვრობო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სპეციალისტი ხათუნა ქოქუაშვილი, ვაშლოვანის ადმინისტრაციის დირექტორი ნინო ხარაშვილი, ქაჭუხას ალკეტილის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი ნათია ზურაბიძე, რეინჯერთა სამსახურის უფროსი ვაჟა ჩერქეზიძე, მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი, დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის წარმომადგენელი ამირან კოდიასვილი და თავად ვაშლოვანის ადმინისტრაციის მენეჯერი მერაბ ფოროსმანაშვილი.

„მე დღეს თქვენს წინაშე წარმოვადგენ ევროსაბჭოს, მე ვმუშაობ ბელგიის კონვენციის სამდივნოში ბუნებრივი რესურსების კონვენციასა და დაცვაზე, ჩემი სამუშაო სამდივნოში უშუალოდ დაცული ტერიტორიებისთვის ევროდიპლომის მინიჭების საკითხებს მოიცავს. მინდა გითხრათ, რომ ევროდიპლომის მსოფლიოს 73 დაცულ ტერიტორიას აქვს მინიჭებული და ეს ქვეყნები ევროსაბჭოს შემადგენლობაშია. ვაშლოვანის დაცული ტერიტორია არის პირველი დაცული ტერიტორია საქართველოდან, რომლის განაცხადი მივიღეთ განაცხადი ევროდიპლომის მინიჭების თაობაზე. ევროდიპლომის მოპოვება ადვილი არ არის ნებისმიერი დაცული ტერიტორიისთვის, ეს ძალიან რთულად მოსაპოვებელი ჯილდოა, რომელიც ზრდის დაცული ტერიტორიის პრესტიჟს მსოფლიო დონეზე და ამდენად, ის ტერიტორია აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ბუნებრივი რესურსების ყველა მოთხოვნასა თუ კრიტერიუმს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ესაა საუკეთესო ქვეყანა, რომლის კიდევ უფრო ბევრად საინტერესოდ წარმოჩენა შეიძლება. მას შემ-

ევროსაბჭოს ქვეყნების მთავრობის წარმომადგენლებს მიერ ყალბდება. ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭო გასცემს დიპლომს, ჩემი შეფასების წარდგენის საფუძველზე ისინი გადაწყვეტენ, უნდა მიიღოს თუ არა ვაშლოვანის დაცულმა ტერიტორიამ ევროდიპლომი. თუ ვაშლოვანმა დააკმაყოფილა ყველა კრიტერიუმი, არ მოვაკლებ მცდელობას, რომ ის გახდეს ამ დიპლომის მატარებელი. მე დღეს ვნახე მისი შემოგარენის მხოლოდ ნაწილი და აღფრთოვანებული დავარჩი, ვფიქრობ, არის პოტენციალი იმის, რომ მან დააკმაყოფილოს ეს კრიტერიუმები, მხოლოდ ამის შემდეგ არსებობს ორი უტაბი, პირველი უტაბი 5 წლით გაიცემა დიპლომი, ხოლო ხუთი წლის შემდეგ, თუ ის ისევ აკმაყოფილებს ევროდიპლომის მოთხოვნებს, შემდეგ ხელშეკრულება ფორმდება 10 წლით. ალბათ, გაგიჩნდებათ კითხვა, რა არის ევროდიპლომის მინიჭებისთვის კრიტერიუმების მთავარი ნაწილი? პირველი, ეს არის ევროპული ინტერესი, შემდეგ ლანდშაფტი და ბიომრავალფეროვნება, მთავარია ისიც, თუ რამდენად კარგადაა შენახული გადაშენების პირას მისული ცხოველები. ჩვენ შეხვედრით ექსპერტებს, სპეციალისტებს, რომ გვეკითხება, ჯეინების, ფოცხვერების, დათვების და ლეოპარდის არსებობის შესახებ. დღეს ცაში რამდენიმე ორბი ვიხილეთ. ეს განხილავთ სწორედ იმ პოტენციალის ნაწილი, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, განვიხილოთ ეს ადგილი დიპლომის მისანიჭებლად. არის ასევე მეორე ნაწილი, ეს განხილავთ მენეჯმენტი, თუ რამდენად მოწესრიგებულია მენეჯმენტი ამ ადმინისტრაციაში და თავად ადგილზე.“

აქხადებს თავის გამოსვლაში ერვე ლენი.

რა ადგილობრივებთან მიმართებაში, რადგან რეზოლუცია ავალდებულებს მთავრობას, დაიცვას და აილოს ვალდებულება, ზედმინე-ვნიტ შეასრულოს რეზოლუციაში მიცემული რეკომენდაციები.“-განაცხადა ტატიანა სტატინასგან.

შეხვედრაზე საინტერესო გამოსვლა ჰქონდა ამირან კოდიასვილს, რომელმაც ყველა ის ჩატარებული ღონისძიება გააცნო სტუმრებს, რაც რეალურად ვაშლოვანში ბოლო პერიოდის მანძილზე განხორციელებულა და აუხსნა სტუმრებს, რომ ყველა ის აქტივობები, რაც მათ მომავალში შესაძლოა მიგვითითონ რეზოლუციაში, ნლებია თითქმის უკვე ხორციელდება ვაშლოვანში. გააცნო ისიც, რომ ვაშლოვანი ობიექტურადაა დაცული ბიომრავალფეროვნების კუთხით და ის ტერიტორიულად ბიოგეოგრაფიულ გზაგასაყარზეა, ამდენად, ძალიან მიმზიდველია და კარგადაა შენახული. მანვე აუდიტორიის საყურადღებოდ დასძინა, რომ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი, ღირსეულად ატაროს ევროდიპლომი და ისიც, რომ ვაშლოვანს აქვს დიდი მომავალი.

სტუმარ-მასპინძლებს შორის გამართული ჯანსაღი დისკუსიის, კითხვა-პასუხისა და აზრთა ურთიერთშეჯერების შემდეგ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ამ საკითხის ირგვლივ ადგილობრივი ხელმძღვანელობის სრული მხარდაჭერა გამოთქვა.

„მინდა, ჩემი სრული მხარდაჭერა და თანამშრომლობის სრული მზადყოფნა დავაფიქსირო ამ საკითხის ირგვლივ. რამეთუ - პირველ რიგში ვიცი, თუ რას ნიშნავს და რამხელა პატივია ევროდიპლომის მიღება ჩვენი

პალიტეტს, გაზრდის მის პოპულარობას და გაჩნდება სამუშაო ადგილები, მოიმატებს ტურისტული პოტენციალი, გარდა ამისა, მათთვის, ვინც ამ ადმინისტრაციაში ათეულობით წლები მუხლჩაუხრელად მუშაობს და დღევანდლამდე ვაშლოვანის ველური ბუნება, მისი ფლორა და ფაუნა შეინარჩუნა, მათთვის დიდი დაფასება და სტიმული იქნება, რათა ახალი ენერგიით შეუდგნენ მუშაობას. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების აღიარება სტიმული იქნება ასევე ჩვენი ხალხისთვისაც, რადგან მათი მხრიდან უკვე შეინიშნება ის მაღალი კულტურა, მოუფრთხილდნენ და დაიცვან ჩვენი ველური, ბუნებრივი საყარო!“-აღნიშნა თავის სიტყვაში ბატონმა ნიკოლოზმა.

შეხვედრამ ძალიან თბილ და სასიამოვნო გარემოში ჩაიარა, ქალბატონმა ტატიანამ კი, შეხვედრის დასასრულს, ჩვენი დაცული ტერიტორიის საკითხის განხილვის საფარაუდო თარიღები დაასახელა, მან თქვა, რომ ერთი სამუშაო შეხვედრა კიდევ გველოდება 2015 წლის მარტში, ხოლო ივნის-ივლისში კომისიის წევრები განიხილვენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ევროდიპლომის მინიჭების საკითხს. რაც შეეხება საბოლოო პასუხს, მისი ვადები არ გადასცილდება 2015 წლის აგვისტოს თვეს.

ასე რომ, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები შესაძლოა მალე ევროდიპლომის მფლობელი გახდეს, რაც ბევრად უფრო პრესტიჟულს გახდის ჩვენი ბუნებრივი ლანდშაფტის შემოგარენს და ამასთან, საკმაოდ დიდ სიკეთეს მოუტანს ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკას.

ლალი მხრიშვილი

იყო უაზრი მგალობელი?!

ფრინველები საქართველოს ბუნების მშვენიერებაა. მათი მკვლევარები, ანუ ორნითოლოგები ამბობენ, რომ აგებულია და წარმომართ ფრინველები ახლის დგანან ქვენარმავლებთან. დედამიწაზე დღეს 10 ათასამდე სახეობის ფრინველი ბინადრობს, ხოლო საქართველოში - 400-მდე. მათგან ნახევარზე მეტი მგალობელი ფრინველია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი, ორნითოლოგი ზურაბ ჯავახიშვილი საქართველოში გავრცელებულ მგალობელ ფრინველებზე მოგვითხრობს.

მგალობელ ფრინველებს უწო-

დებენ ბელურასნაირთა ქვერიგის წარმომადგენლებს. მასში შედის 4 ათასამდე სახეობის ფრინველი - მათი მთლიანი რიცხვის თითქმის ნახევარი. მგალობელთა ჯგუფში ირიცხება ყველასთვის ნაცნობი ბუღბუღი და, ასე გასინჯეთ, ყვავიციც. მგალობლები ხმას იმიტომ კი არ გამოსცემენ, რომ ეს მოსწონთ, - მათი მიზანი ტერიტორიის დაუფლება და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების მიზიდვაა. ამიტომ, ძირითადად, მამლები გალობენ. თითქოს მგალობელ ფრინველებს შორის ნამდვილი პატრიარქატია, თუმცა მენწყილეს ბოლოს მაინც დედალი ირჩევს.

საფრთხის მოახლოებისას თუ საკვების მიღებისას კი ჩიტები სრულიად სხვაგვარ ხმებს გამოსცემენ, რასაც გალობა აღარ ჰქვია. საუკეთესო მიმბაძველებიც მგალობლების ქვერიგში შედიან. მათ შორის თუთიყუშები, თუმცა მიმბაძველობით მათ სხვები სჯობნიან. მაგალითად, ფრინველს, რომელსაც ქართულად კუდქნარა ჰქვია და დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში ბინადრობს, ნებისმიერი ხმის გამეორება შეუძლია. ბაძავს არა მარტო ადამიანებს ან ფრინველებს, არამედ მექანიკურ მოწყობილობებსა და მანქანებსაც კი. ზოგიერთი ფრინ-

ველი სასიამოვნოდ გალობს, ზოგის ხმიანობა კი ყურს გეჭრის, მაგალითად, ყვავისა.

გულუბნი და უაზრი

მცირე ზომის, უღალი შეფერილობის ბუღბუღი ლამაზი და ძლიერი ხმით ყველასგან გამოირჩეულია. ტანით ბელურაზე ოდნავ დიდია. ბევრს ბუღბუღი ალბათ არც უნახავს. ის ბუჩქებში ბინადრობს და იმეორებს ჩანს. უმეტესად დილით ადრე, საღამოს ან ღამით გალობს, ხოლო გამრავლების პერიოდში, ანუ აპრილის ბოლოდან მაის-ივნისში - მთელი ღამე. ბუღბუღი მწერებით იკვებება და

შემოდგომის დადგომისთანავე თბილ ქვეყნებში მიფრინავს. შავი შეფერილობის შაშვი ბუღბუღი, პარკებში, თითქმის ყველგან ბუღბუღს. ის გაზაფხულზე იწყებს გალობას. როცა ლამაზი, სასიამოვნო გალობა გესმით, ეს შაშვია. გალობენ მხოლოდ მამრები. სამხრეთის ქვეყნებისკენ შაშვი არ მიფრინავს, ზამთარში ის ხილითა და კენკრით იკვებება. შაშვი ბუღბუღზე დიდია, მამალი შავია, მხოლოდ ნისკარტი და ფეხები აქვს წარინჯისფერი ან მოყვითალო. მდებრი უფრო რუხ-ყავისფერი შეფერილობისაა, რათა ბუღბუღი მუდგომი არ გამოჩნდეს.

სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

სასწრაფო სამედიცინო ცენტრის დედოფლისწყაროს სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს, იგი ჩვენი საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილი ექიმი ვასილ სამადაშვილი გახლავთ. ვასილ სამადაშვილი დაიბადა 1963 წელს, სოფელ ზემო მარხაანში, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, 1986 წელს ვასილ სამადაშვილი მშობლიურ კუთხეს უბრუნდება და იწყებს სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ექიმად მუშაობას, შემდეგ კი, დედოფლისწყაროს საავადმყოფოს მიმღები განყოფილების ექიმად განაგრძობს მუშაობას, ამ ხანებშივე წელიწადნახევრის მანძილზე იგი მიმღები განყოფილების გამგეც გახლდათ, შემდეგ ის თერაპიულ განყოფილებაში გადადის. 1998 წლიდან გაიარა გადამზადების კურსი და დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ექიმ-რენტგენოლოგად დაინიშნა, სადაც 2014 წლის სექტემბრამდე იმუშავა. 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ვასილ სამადაშვილი სასწრაფო სამედიცინო ცენტრის დე-

დოფლისწყაროს უფროსია. **– ბატონო ვასილ, როგორი სამუშაო გარემო და რა პირობები დაგხვდათ ახალ სამსახურში?**
– ეს გარემო ჩემთვის უცხო არ გახლავთ, რადგან ათეული წლები ამ რაიონის სამედიცინო სფეროში ვტრიალებ და აქედან გამომდინარე, უჩვეულო არაფერია. ყველა მედიკოსი და ჩემი კოლეგა ჩემთვის კარგად ნაცნობია.
– როგორი ტექნიკური აღჭურვილობა გაქვთ და ხომ არ არის რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც აფერხებს თქვენი სამსახურის ხარისხიან მუშაობას?
– სამედიცინო ჯგუფები ყველა დაკომპლექტებულია, ყოველდღიურად მორიგეობს სამი ჯგუფი, ერთი ზემო ქედში და ორი ადგილზე, მუშაობის შეფერხება მინიმალურია, თუმცა ავტოპარკი აუცილებლად მოითხოვს განახლებას, რადგან ხშირად გვინებს მანქანების შეკეთება. უნდა აქვე გითხრათ, რომ ეს საკითხიც უახლოეს მომავალში მოგვარდება და თვის ბოლოს ველოდებით სამ ახალ, მაღალი გამავლობის მანქანას, რომელიც

აღჭურვილი იქნება შესაბამისი სამედიცინო აპარატურითა და ტექნიკით.
– ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულო ინფორმაციაა, როგორც თქვენი პერსონალისთვის, ასევე ჩვენი მოსახლეობისთვის. თუ გეგმათ საკადრო ცვლილებებს თქვენს ორგანიზაციაში და ხომ არ იქნება შტატების ზრდა, რადგან ჩვენი რაიონი ტერიტორიულად საკმაოდ დიდია და არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც ორივე სასწრაფო ბრიგადა გასულია უბანზე და ამ დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მესამე ზარი შემოდის, ვიცი შემთხვევა, როდესაც ადამიანი დაღუპულა იმის გამო, რომ სასწრაფოს ორივე ჯგუფი უბანზე ყოფილა გასული.
– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი სოფლები საკმაოდ მოშორებითაა და დიდი მანძილითაა დაშორებული რაიონული ცენტრისგან, არ გამოვიციხავ, რომ ეს საკითხიც დადგეს დღის წესრიგში, თუმცა, ამის საჭიროებას ამ ეტაპზე ვერ ვხედავ და რაც ყველაზე მთავარია, ეს საკითხი მთლიანად თბილისის სასწრაფო სამედიცინო

დახმარების ცენტრის გადაწყვეტილებასა და ამოკიდებული. ამ ეტაპზე უფრო იმანზე მიმდინარეობს საუბარი, რომ რეგიონებში სასწრაფო დახმარების ცენტრის ფილიალების თანამშრომელთა ხელფასები თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მედიკოსების ხელფასს გაუტოლდეს. მართალია, თბილისი მაღალი რისკის ქალაქია, მაგრამ იმასაც დავძენ, რომ შესაძლოა ჩვენი ერთ-ერთ სოფელში, მაგალითად, საბათლოში გამოძახება, თბილისში სამი გამოძახების ტოლფასი იყოს მანძილის გამო. სანამ სასწრაფო ცენტრს დაშორებულ სოფლებში ჩავა, შესაძლოა ავადმყოფის მდგო-



მარეობა მკვეთრად დამძიმდეს, რაც კიდევ უფრო ართულებს ჩვენი ექიმების სამუშაო რეჟიმს. ამ ეტაპზე ამ კუთხით წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია. ყველაფერი ჩვენს ზემდგომეზება დამოკიდებული, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ვნახოთ, რა იქნება.
– გამაღობთ საინტერესო საუბრისთვის, წარმატებებს გისურვებთ.
ლალი მხერჩვილი

26 ახალგაზრდა თავდაცვის სამინისტროს უშიშარალებული ძალების სამსახურში!

2 ოქტომბერს, დილით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის განვევისა და მობილიზაციის სამსახურის წინ ნვევამდელეებმა მოიყარეს თავი. ისინი სამხედრო სავალდებულო სამსახურში მიდიოდნენ. უამრავი მათგანი მშობლებისა და ახლობლების თანხლებით იყო მოსული და ერთმანეთთან გამომშვიდობების სცენაც მოეწყოთ. როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის განვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა ელიზბარ ალუღიშვილმა ჩვენთან კომენტარში აღნიშნა, 2 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში დედოფლისწყაროდან 26 ნვევამდელი გაემგზავრება. — „ეს ის ნვევამდელი არიან, რომლებიც არ დაევემდებარნენ

აუცილებელ გადავადებას და ყველა სტანდარტი დააკმაყოფილეს, რათა იმსახურონ და მოიხადონ სამხედრო სავალდებულო სამსახური. ისინი სამხედრო სავალდებულო სამსახურს ერთწლიანი ვადით გაივლიან და მშობლიურ რაიონსა და ოჯახებს, უკვე დავეყკვებულეები დაუბრუნდებიან, ჯვარი ნებისმიერი მამაკაცისთვის ის დიდი ოჯახია, სადაც მეგობრობას, ურთიერთგატანას, სამშობლოს სიყვარულს სწავლობენ და ცხოვრების გამოცდილებას იძენენ. ვფიქრობ, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური ყველა ბიჭმა უნდა გაიაროს. ეს სამომავლოდ მისი ღირსების და პრინციპის საქმეა. წარმატება მინდა ვუსურვო ჩვენს 26 ახალგაზრდას, — განაცხადა ელიზბარ ალუღიშვილმა და ნვევამდელეებს გზა დაულოცა.

– ბატონო ელიზბარ, ალბათ არის კატეგორია, ვინც არ მიდის სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რა კატეგორიის ბიჭები შეიძლება აღმოჩნდნენ ასეთთა რიგებში?
– უპირველეს ყოვლისა ისეთები, რომლებიც სამედიცინო შემონების შედეგად სხვადასხვა დაავადებების გამო იქნენ დასუნებულნი, ასეთები, რა თქმა უნდა, არ გაინვევიან. ცნობისთვის, სამხედრო სავალდებულო სამსახური კანონის 30-ე მუხლის თანახმად გადაუვადდა იმ ნვევამდელეებს, რომლებიც უმადლეს სასწავლებლებში ჩაირიცხნენ, ან უკვე სწავლობენ და იმ პირებს, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის შვილები ჰყავთ. ასეთი ბიჭები სავალდებულო სამხედრო სამსახურს უკვე გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მოიხდინან, ან სამსახურის პა-

რალეულად გაივლიან. სახედრო სავალდებულო სამსახურში არ ინვევენ ასევე დედისერთა ბიჭებს და მათ, ვინც სხვა სამსახურით, დაცვის პოლიციაში მუშაობით, საავადმყოფოში სანიტრად მუშაობით არის დასაქმებული. ან კიდევ ეკლესია-მონასტერში ენევა ნებისმიერ შრომა-მოღვაწეობას. რაც შეეხება დედისერთებს, თუ მათ სურვილი აქვთ მაინც იმსახურონ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, მაშინ ის ჯვარში გაინვევა მხოლოდ და მხოლოდ დედის განცხადებისა და დედის ნებართვის ნერილის საფუძველზე.
– სულ რამდენიმე თვეა, რაც ამ სამსახურის უფროსად დაინიშნეთ, ამ წნის განმავლობაში რა ცვლილებები განხორციელდა თქვენს სამსახურში?
– გარდა იმისა, რომ ჩვეული რიტმით ვაგრძელებთ სამხე-

დრო მოსამსახურეთა საბუთების მონესრიგებას და ნვევამდელთა აღრიცხვა-განვევას, მოვანესრიგეთ ადგილობრივი საოფისე ბაზა და ინფრასტრუქტურა, მოვანყეთ შაბათობა, დავასუფთავეთ შენობის ეზო და ოთახები, ასევე კოსმეტიკურად კეთილმოვანყეთ ჩვენი მოსამსახურე პერსონალის კაბინეტები და ტექნიკურად აღვეჭურვეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ელიზბარ ალუღიშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის განვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსად სულ ახლახანს დაინიშნა. ის ამ თანამდებობას 5 აგვისტოდან იკავებს. მანამდე, ელიზბარ ალუღიშვილი დედოფლისწყაროს „სერვისი 2007“-ის ხელმძღვანელი გახლდათ.
ლალი მხერჩვილი

კიდევ რამდენიმე მოსვალტეხული ქუჩა ქალაქს

სულ ახლახანს დასრულდა ქალაქ დედოფლისწყაროში რამდენიმე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის საერთო ღირებულებამ მილიონი ლარი შეადგინა. ეს გახლავთ ე. წ. ხევსურების უბნის მიმდებარე ქუჩები, სასავალაომდე მისასვლელი გზა და მის შემდგომ განლაგებული თამარის, თერგის, ბაგრატიონის, არხოტის ქუჩები. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ის ქუჩები გახლავთ, სადაც ასფალტისანი საფარით გზები 20 წლის წინაც არ იყო დაფარული. გაზეთი „შირაქი“ ამ ქუჩებზე თავად გახლდათ და მოსახლეობასაც შეხვდა. — „ამ ქუჩას თერგის ქუჩა ჰქვია, აქ ვებრდები და ვერასოდეს მოვიფიქრებდი, თუ აქ ასფალტს დაგვიგებდნენ, თანაც ასე ხარისხიანად. უბრალოდ და მიფიქრებულად კი არ დაავსეს, ორმაგად და სამმაგად გადაასხეს ასფალტი, ხედავთ, რომ სანიტარე არხებიც კი გაგვიკეთეს, ძალიან კმაყოფილები ვართ, განა შეიძლება ამით ვინმე უემპაყოფილო იყოს?“ — განაცხადა ჩვენთან საუბარში თერგის ქუჩის მაცხოვრებელმა იოსებ ცისკარაულმა.
როგორც გაზეთ „შირაქს“ ქალაქ დედოფლისწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელმა ბესიკ ცისკარაულმა

განუცხადა, ამ ქუჩებზე მიმდინარე სამუშაოებს ხელმძღვანელ პირებთან ერთად თავადაც ადვენებდა თვალყურს, მისი თქმით, გზები მართლაც საუკეთესოდ დაიგო, სწორედ ამიტომ ის მოსახლეობის სახელით ხელმძღვანელობას უხდის მადლობას, რადგან მისი ქალაქის ქუჩებისთვის და ხალხის კეთილდღეობისთვის ბოუჯეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხა, მილიონამდე ლარის ფინანსები გაიღეს.
როგორც დავაკვირდით, საკმაოდ ფართო გზა მიდის თვით სასავალაომდე მისასვლელ გზაზე, სადაც წლების მანძილზე ისეთი ორმოული გზები იყო, რომ ავტომანქანას უჭირდა ამ აღმართზე ავლა. ამჯერად ეს პრობლემა მოხსნილია.
რამდენადაც გაზეთი „შირაქი“ გახლდათ მონმე, ზუსტად ერთი წლის წინ ამ ქუჩების მოსახლეობას პარლამენტის წევრი, ალექსანდრე თამაზაშვილი შეხვდა. შეხვედრა ლიმონათის ქარხანასთან ახლოს არსებულ წყაროსთან შედგა. მაშინ აქაური ქუჩის მოსახლეობამ გზების განახლება მოითხოვა, ბატონი ალექსანდრე მათ დაპირდა, რომ გზების შეკეთება მოხდებოდა, თუმცა, იქვე კულუარებში გამოითქვა აზრი და გაჩნდა ეჭვი, ეს დაპირება ლიტონი სიტყვები იქნე-

ბოდა და ამას არც ხმამალა სათქმელად ფარავდნენ. დღეს უკვე ფაქტია და მომსწრენი ვართ, რომ საქმე სისრულეშია მოყვანილი და დეპუტატის დანაპირები ლიტონი სიტყვები არ იყო!
ხევსურების უბნების მსგავსად გზების დაგება რაიონის კიდევ არაერთ უბანში ხორციელდება და დღესდღეობით თითქმის აღარ არსებობს ქუჩა, რომელიც აუთვისებელია ამ მხრივ. აღარ ვსაუბრობთ იმაზე, რომ მოსახლეობა ამ ფაქტის გამო, ერთმნიშვნელოვნად, მადლიერებას გამოხატავს, თუმცა ერთადერთი, რაზეც ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობა გულისწყრომითაა განწყობილი ხელმძღვანელობის მიმართ, ის გახლავთ, რომ ჰერეთის ქუჩის ტროტუარი და რუსთაველიდან ჰერეთის გზაზე გამგებობასთან გამოსასვლელი გზის ტროტუარი ვერაფრით შეკეთდა.
„მთელი დედოფლისწყაროს ქუჩები გააკეთეს, სად აღარ მიიყვანეს ასფალტისანი გზა, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობას არ გახსენებია რაიონის ცენტრში ორი ტროტუარის ჰერეთის და რუსთაველისა და ჰერეთის ქუჩის დამაკავშირებელი ტროტუარების რეაბილიტაცია. ისეთი ორმოულია ეს ტროტუარი, რომ ზამთარსა და ზაფხულში ფეხით



ძლივს გაივლი, როცა ამ ტროტუარზე მივდივართ, შიშით ვერ ვგვიხედავ, რადგან ფეხის ნამოკრის და ნაქცვეის გვემინია. ჰერეთის ქუჩას მამაზი ბორდოური გაუკეთეს, მაგრამ ბარდოური რას გვიშველის, თუ თავად მის ტროტუარზე სიარულის დროს ფეხები ლამის მოვიტეხოთ?!“ — ამბობს ერთი მოსამსახურე, რომელს ნათქვამი ყოველი დედოფლისწყაროელის ტკივილია.
რამდენადაც ამ საკითხზე გა-

ვეცანით ინფორმაციას, ამ ტროტუარების გაკეთება დაგეგმილია, პროექტები შედგენილი, ხარჯთაღრიცხვა აღწერილი და მომავალი წლის ბოუჯეტში გათვალისწინებულია.
იმედს ვიტოვებთ, ხელმძღვანელობა ამ პრობლემას მოაგვარებს და მდგომარეობა მალე გამოსწორდება!
ლალი მხერჩვილი

წიგნების მასწავლებლის პროფესიული დღეს!

დღევანდელი ეპოქის შეფასება დროის საკითხია

– ქალბატონო ჯულიეტა, რას ნიშნავს თქვენთვის მასწავლებლობა და სკოლა?

– ეს ჩემი ცხოვრებაა, ჩემი სულიერი საზრდო, წლებია ამ სკოლაში ვარ, მის საზღვრებს იქით არც ვაგსულვარ და არც სურვილი მქონია, სხვა საქმე მეკეთებინა. პედაგოგობა სწორედ ჩემი სფეროა და სხვა სამყარო ჩემს ცხოვრებაში ვერც წარმომიდგენია. მე ჩემი მოსწავლეებით ვცხოვრობ, მათი სიხარული მიხარია და მათი ტკივილი მტკივა. ათეული წლებია, მოსწავლეებს ისტორიას ვასწავლი და მთელი არსებით ჩვენი ქვეყნის წარსულის შესისხლბორცებაში ვებმარები. განა ეს პატარა საქმეა, ეს ჩემი ცხოვრებაა, ჩემი ყოველდღიურობა.

– 47 წელი იდგე სწავლებისა და აღზრდის სადარაჯოზე, საკმაო პატივია და ამავდროულად დიდი პასუხისმგებლობა. თუ გქონიათ ამ ხნის მანძილზე რაიმე მაღლობის წერილი ან ჯილდო, რომელსაც მეტი სტიმული მოუცია თქვენს საქმიანობაში.

– რა თქმა უნდა მაქვს, მაგრამ ბევრი მათგანი საბჭოთა ეპოქის ჯილდოს მიეკუთვნება და დღეს მას ისეთი ფასი აღარ აქვს, როგორც უნდა. იმ წყობის შეცვლის შემდეგ, მაქვს ისეთი ჯილდოები, რომელიც ჩემი მოსწავლეების ტურებში, ოლიმპიადებში და საკონფერენციო თემებში მონაწილეობის და გამარჯვების დროს გვაქვს აღებული, როგორც ჩემს მოსწავლეებს, ასევე მე,

მინი დოსიე: ჯულიეტა გოგილაშვილი დაიბადა 1947 წელს სოფელ ჯაფარიძეში, (ახლანდელ სოფელ სამრეკოლოში), ამავე სოფელში დახურა სკოლის ცხრა კლასი, ხოლო შემდეგ დედოფლისწყაროს პირველ საშუალო სკოლაში განაგრძო სწავლა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯულიეტა გოგილაშვილი სწავლას თელავის სახელმწიფო ინსტიტუტში აგრძელებს ისტორიის სპეციალობაზე, მალე დაოჯახდა, საბჭოთა დაუსწრებელ განყოფილებაზე გადაიტანა და დედოფლისწყაროს პირველ საშუალო სკოლაში საქმეთა მმართველად დაინიშნა მუშაობა, შემდეგ წლებში, იგი სკოლის პიონერხელმძღვანელია, ხოლო ინსტიტუტის სრული კურსის დამთავრებისთანავე, ისტორიის მასწავლებლად აგრძელებს ამავე სკოლაში მუშაობას. ფაქტიურად, ქალბატონი ჯულიეტა 1967 წლიდან პირველი საჯარო სკოლის პედაგოგია. ჰყავს ორი ვაჟი, სამი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.



როგორც მათ პედაგოგს.

– ისტორია და ქართული, ეს ის საგნებია, რომელიც წამყვანია, ძირითადი ძარღვი და არტერიაა, როგორც ნებისმიერი სკოლისთვის, ასევე მთელი ერისთვის. ახალი სასწავლო რეფორმების შედეგად ძალიან ბევრი მოსწავლე და მშობელი აცხადებს, რომ ყველაფერი, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია, ასე, თუ ისე, შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც, ამოღებულია წიგნებიდან, ამ შემთხვევაში ჭეშმარიტი ქართული ოჯახები სკოლაში მათი შვილების პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდას და სწავლებას, უკვე თქვენზე, პედაგოგზე ამყარებენ, განსაკუთრებით კი, ქართულის და ისტორიის პედაგოგებზე. ბევრი რამაა დამოკიდებული თქვენზე, რომლებზეც მონდობილია მომავალი თაობების ჭეშმარიტ ქართველად აღზრდა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი გენის გადასარჩენად, ალბათ, ყოველგვარი მითითების და მეთოდის გარეშე, ქვეშევსეულად მუშაობთ ამ კუთხით, რათა შეძლოთ მოსწავლეებში საკუთარი ისტორიის და სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გაღვივება?

– მე არცერთი ეპოქის განხილვისგან არ შემოიკავებია თავი და ნებისმიერი მმართველობის ფორმის შეფასებას ვახდენ მოსწავლეებთან, გადავცემ მათ

იმ ეპოქის როგორც დადებით, ასევე მანკიერ მხარეებს და თავადაც ვაძლევ ბავშვებს საშუალებას, გააკეთონ საკუთარი დასკვნები და შეაფასონ, თავისუფალი აზრი დააფიქსირონ. მუდმივად ვასწავლი მათ, იყვნენ კრიტიკულებიც და რეალისტებიც, ვასწავლი ივანე ჯავახიშვილის ფრაზებს, რომ ისტორია უნდა ისწავლებოდეს ჭეშმარიტების საფუძვლებზე და მივყვებით ამ მცნებას. ვუწერგავ ილიას ფრაზებს, რომ „დიდი მამულის-შვილური სიყვარული და ღრმა სარწმუნოება, ეს ორი უძლიერესი გრძნობა ადამიანისა“ (გაგრძელება გვ.)

ყველაზე დიდ წარმატებად გარშემომყოფების ჩემდამი კეთილგანწყობას მივიჩნევ



შემდეგ, რატომღაც ასეთი სურვილი მქონდა, რომ ისეთ რეგიონში გაენაწილებინათ, სადაც უცხო გარემოში აღმოჩნდებოდა და ახალ ნაცნობებს გაიჩენდა. ამ ნიშნით სოფელ არხილოსკალოს სკოლაში მოხდა, სადაც ერთი წელი ასწავლიდა, შემდეგი ოთხი წელი ჩვენი რაიონის განათლების განყოფილებაში გაატარა, ხოლო 1973 წლიდან ის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგია. თუ არ იქნებოდა მასწავლებელი, ქალბატონი მზია აუცილებლად გახდებოდა ტურისტული ტურების

ჩემი პროფესია, რაღა თქმა უნდა, მაქვს კარგი დამოკიდებულება მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან. ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, დასაწყისიდან დღემდე, მუდმივად მყავს სახელმძღვანელო კლასი, მიყვარს, როდესაც ჩემი მოსწავლეები საზოგადოებრივ საქმიანობაში ერთვებიან და მუდმივად აქტიური ვარ ამ კუთხითაც.

ცე ბავშვებს, რომ მათთვის გასაგები იყოს და ადვილად შესასწავლი. ჩემი ძირითადი ამოცანაა ყველა ბავშვი თანაბარ პირობებში იყოს და არ განვასხვავო ისინი არანაირი ნიშნით, ვფიქრობ, პედაგოგისთვის ეს ყველაზე მეტად დამახასიათებელი უნდა გახლდეთ, ვინც ამ თვისებით სარგებლობს, ის აუცილებლად გამარჯვებული იქნება.

მასწავლებლობა რთული პროფესიაა, საკმაოდ რთული იმისთვის, რომ მისი საქმე შეუცდომლად მართო და არაფერი შეგეშალოს. პედაგოგობა ერთდროულად ცოდნის გადაცემა, მოსწავლეებთან მეგობრობა და მათი სწორად აღზრდაა, ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო კი, ამ ნაღვანის მოძაპა, რომელიც ფაქტიურად შენს მიერ განეული ღვაწლის, ანგარიშის წარდგენა საზოგადოების წინაშე. 5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა, ჩვენ შევეცადეთ პროფესიულ დღეს მცირედით მაინც დაგვეფასებინა პედაგოგების ღვაწლი და ამ ნიშნით შეგვესენებინა ისინი საზოგადოებისთვის, ის გადმოგვეცა, რასაც ისინი მომავალი თაობების აღზრდისთვის უწევიან. სწორედ ამიტომ ჩვენ პირველი საჯარო სკოლის ორ ღვაწლმოსილ პედაგოგს, ისტორიის პედაგოგს ქალბატონ ჯულიეტა გოგილაშვილს და ფიზიკის მასწავლებელს მზია ტარყაშვილს შევხვდით.

– ქალბატონო მზია, უკვე წლებია პედაგოგიურ მოღვაწეობას უწევთ, რა მისიაა პედაგოგობა თქვენთვის?

– ჩემი აზრით, პედაგოგობა, აღზრდებით და შემეცნებით მოღვაწეობასთან ერთად, მსახიობობაცაა, რადგან ჩვენ ყოველდღიურად ბავშვებთან, ახალგაზრდა თაობასთან გვიწევს ურთიერთობა, მათ კი, მიუხედავად შენი შინაგანი განწყობისა, უნდა აჰყვე. როგორი განწყობაც აქვს ჩემს მოსწავლეებს, მეც იმის შესაფერისად ვიქცევი, მათ თუ უხარიათ, მეც უნდა მიხაროდეს, თუ რაიმეზე დალონდნენ, მეც შესაბამისად ვიზიარებ მათ ნუხილს. შესაძლოა, ამ დროს შინაგანად სულაც არ ვიყო მათთვის შესაფერისი განწყობაზე, ჩვენც გვაქვს ჩვენი პრობლემები ცხოვრებაში, მაგრამ, როცა მოსწავლეებთან ვარ, ვაღვებულები ვარ მათი ხასიათი გავითავისო და მთელი არსებით მათთან ერთად ვიყო. სხვანაირად პედაგოგობა შეუძლებელია. აქვე დაბეჯითებით მინდა აღვნიშნო, რომ მე ძალიან მიყვარს

– საზოგადოებრივი აქტიურობა ასხენით, არის რაიმე პროფესია, რომელსაც სიამოვნებით აირჩევდით, ან შეითავსებდით?

– ჩემი აუხდენელი ოცნება და თუ შეიძლება ითქვას, ის რაზეც მუდმივად მქონდა და მაქვს მოთხოვნა, ისაა, რომ სიამოვნებით ვიქნებოდი ტურისტული მოგზაურობების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. ეს ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და დარჩა. თუმცა ჩემს დროს ასეთი სპეციალობები არ არსებობდა და სწორედ ამიტომ ვერ დავუფულე სასურველ პროფესიას. ვფიქრობ, რომ ჩემგან კარგი მოგზაური დადგებოდა, რომ არ ვყოფილიყავი პედაგოგი, ნამდვილად ვიქნებოდი მოგზაური. ამ სივარდილეს გარკვეულწილად ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის ხარჯზე ვინაზღაურებ, მიყვარს ექსკურსიების მოწყობა. თითქმის არ არსებობს საქართველოს არცერთი კუთხე, სადაც ჩემი მოსწავლეები არ მყოლოდა წაყვანილი.

– ნლებია ასწავლით, პედაგოგობა ყველა საფეხურზე რთული და საპასუხისმგებლოა, როგორ აუწყით ფეხი ახლებური სწავლის მეორედა?

– გეთანხმებით, რომ პედაგოგობა რთულია, ჩვენს პასუხისმგებლიანობაზე დამოკიდებული მოსწავლის სამომავლო ბედი, რა თქმა უნდა, გაიზარდა მასშტაბები ფიზიკის სწავლებასთან მიმართებითაც, ფიზიკა გათვლილი მეცნიერებაა და მას ვერ შეცვლი, მაგრამ არის რალაცეები, რაც დაემატა, საგანი ბევრად უფრო გლობალური გახდა, უფრო ფართო მასშტაბებს მოიცავს, ვიდრე ადრე. ფიზიკას ახალი გამოგონებები დაემატა, ახლებური სწავლების მეთოდები და ახლებური ხედვა. ჩემი საგანი ბევრ მუშაობას და ძალიან დიდ ენერჯის მოითხოვს, თუმცა, მე მუდმივად ვცდილობ ისე გადა-

ვიწინე. ჩემი პროფესია, რაღა თქმა უნდა, მაქვს კარგი დამოკიდებულება მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან. ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, დასაწყისიდან დღემდე, მუდმივად მყავს სახელმძღვანელო კლასი, მიყვარს, როდესაც ჩემი მოსწავლეები საზოგადოებრივ საქმიანობაში ერთვებიან და მუდმივად აქტიური ვარ ამ კუთხითაც.

– საზოგადოებრივი აქტიურობა ასხენით, არის რაიმე პროფესია, რომელსაც სიამოვნებით აირჩევდით, ან შეითავსებდით?

– ჩემი აუხდენელი ოცნება და თუ შეიძლება ითქვას, ის რაზეც მუდმივად მქონდა და მაქვს მოთხოვნა, ისაა, რომ სიამოვნებით ვიქნებოდი ტურისტული მოგზაურობების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. ეს ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და დარჩა. თუმცა ჩემს დროს ასეთი სპეციალობები არ არსებობდა და სწორედ ამიტომ ვერ დავუფულე სასურველ პროფესიას. ვფიქრობ, რომ ჩემგან კარგი მოგზაური დადგებოდა, რომ არ ვყოფილიყავი პედაგოგი, ნამდვილად ვიქნებოდი მოგზაური. ამ სივარდილეს გარკვეულწილად ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის ხარჯზე ვინაზღაურებ, მიყვარს ექსკურსიების მოწყობა. თითქმის არ არსებობს საქართველოს არცერთი კუთხე, სადაც ჩემი მოსწავლეები არ მყოლოდა წაყვანილი.

– ნლებია ასწავლით, პედაგოგობა ყველა საფეხურზე რთული და საპასუხისმგებლოა, როგორ აუწყით ფეხი ახლებური სწავლის მეორედა?

– გეთანხმებით, რომ პედაგოგობა რთულია, ჩვენს პასუხისმგებლიანობაზე დამოკიდებული მოსწავლის სამომავლო ბედი, რა თქმა უნდა, გაიზარდა მასშტაბები ფიზიკის სწავლებასთან მიმართებითაც, ფიზიკა გათვლილი მეცნიერებაა და მას ვერ შეცვლი, მაგრამ არის რალაცეები, რაც დაემატა, საგანი ბევრად უფრო გლობალური გახდა, უფრო ფართო მასშტაბებს მოიცავს, ვიდრე ადრე. ფიზიკას ახალი გამოგონებები დაემატა, ახლებური სწავლების მეთოდები და ახლებური ხედვა. ჩემი საგანი ბევრ მუშაობას და ძალიან დიდ ენერჯის მოითხოვს, თუმცა, მე მუდმივად ვცდილობ ისე გადა-

საპატრიარქო დედოფლისწყაროში სკოლა გახსნა

პირველი ჩამოყვანილი ბავშვები დედოფლისწყაროს პანსიონაში იწავლიან

საქართველოს საპატრიარქო დედოფლისწყაროში მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა გახსნა. პირველ ეტაპზე საგანმანათლებლო დაწესებულება მხოლოდ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მიიღებს, მოგვიანებით კი კონტინგენტი გაიზრდება.

სკოლის დამფუძნებელი ხორნაბუჯისა და შერეთის ეპისკოპოსი, მეღვინისედეკ ხაჩიძე, ხოლო სასწავლო დარგში მას №1 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი მია ლაპიაშვილი უხელმძღვანელებს.

როგორც მეფე მელქისედეკმა სკოლის გახსნისას განაცხადა, სამომავლოდ, ამავე ტერიტორიაზე პანსიონი გაიხსნება, სადაც საინგილოდან ჩამოყვანილი ბავშვები იცხოვრებენ.

„მისი უწმინდესობის ლოცვა კურთხევით დაარსებული სკოლა იმ წმინდანის სახელობისაა, რომელმაც ხორნაბუჯის ეპარქია დააარსა. მოგესხენებათ, წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულია 12 ეპარქია, მათ შორის ჩვენი ეპარქია. უწმინდესმა ხუთი წლის წინ დედოფლისწყაროში ყოფნისას ბრძანა, რომ ხორნაბუჯის ეპარქია სამაგალითო უნდა იყოს სულიერებით და განათლებით. ამიტომ, ჩვენ შეძლებისდაგვარად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. საქართველოს მომავალი ამ ბავშვების ხელთ არის. მომავალში აუცილებლად ჰქრეთიდან ჩამოვიყვანთ ბავშვებს, რომ ისინი გაეზარდონ აქ და შემდეგ დაბრუნდებიან ჰქრეთში და შეინარჩუნებენ თავის სულიერებას და ქართველობას.“

„ალღინა მეფე მელქისედეკმა. საგანმანათლებლო დაწესებულება საუკეთესო ხარისხის ინვენტარით და ტექნიკით არის აღჭურვილი.“

სკოლის ხელმძღვანელის, მია ლაპიაშვილის განმარტებით, სკოლის ხარჯების ნაწილს საპატრიარქო დაფარავს, ნაწილს კი თანაგადახდის პრონციპით ბავშვების მშობლები. მოსწავლე თვეში 50 ლარს სხვადასხვა სახის შეღავათები.

„განსხვავებული ტიპის სწავლება გვექნება. გაძლიერებული უცხო ენა პირველივე კლასიდან და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნებიც ჩატარდება. საღმრთო სჯულს თავად ეპარქიის მოძღვრები ჩაატარებენ. ასევე, ქანდაკებას და ძეგლს ვთავაზობთ, გოგონებს კი ხელსაქმეს. იანვრიდან ამოქმედდება ლოგიკის წრე. კვირაში ერთი დღე მოძღვრის გაკვეთილებს დაეთმობა, ხუთშაბათობით კი ყველა მოსწავლე ტაძარში პარაკლისს დაესწრება. ბევრ სიახლეს ვპირდებით დედოფლისწყაროელებს, თუმცა ეტაპობრივად.“

„განუცხადა გაზეთ „შირაქს“ მია ლაპიაშვილმა. სკოლის დირექტორის თქმით, სკოლა 6 წლიანია, თუმცა პირველ ეტაპზე საგანმანათლებლო დაწესებულება მხოლოდ 1-4 კლასების მოსწავლეებს მიიღებს. სკოლაში საერთო ჯამში 40 ბავშვი ისწავლის. ამჟამად კი სკოლაში მხოლოდ 26 მოსწავლეა დარეგისტრირებული.“

„შეგვიძლია მივიღოთ 40, მაქსიმუმ 45 ბავშვი რათა ასწავლის ხარისხი მაღალი იყოს. პირველ ეტაპზე მხოლოდ დაწყებითი კლასის ბავშვებს ვიღებთ, მაგრამ ის ბავშვები, რომლებიც მაგალითად მეოთხე კლასს დაამთავრებენ

მომავალ წელს, ჩვეულებრივ აქ განაგრძობენ სწავლას მეხუთე კლასში. სკოლა კერძოა, ჩვენ ვერ უზრუნველყოფთ პირველი კლასელებისთვის „ბუკების“ შეძენას, ამიტომ მათთვის სწავლა უფასო იქნება. უფასოდ ისწავლიან ასევე მოძღვრების შვილები და სოციალურად დაუცველი მოსწავლეები. ასევე ის მოსწავლეები,

სასულიერო პირების და სოსიალურად დაუსვლელი ოჯახის შვილებისთვის უელავატი იმოქმედებს

რომლებმაც რეგისტრაცია 1 ოქტომბრამდე გაიარეს. 25%-იანი შეღავათით ისარგებლებენ ის ბავშვები, რომლებიც რეგისტრაციას პირველ სემესტრში გაივლიან“, – აღნიშნა მია ლაპიაშვილმა.

გასულ წელს საპატრიარქო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების განკარგვის ნუსხა გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ დედოფლისწყაროში სკოლა-პანსიონის გასახსნელად 140 000



ლარი იყო გათვალისწინებული. ოფიციალური ინფორმაციით, სკოლამ რეგისტრაცია 2010 წლის 4 თებერვალს გაიარა და მის ხელმძღვანელად არკადი ხაჩიძე დაფიქსირებული. იმხანად, სკოლის სახელწოდება ასე უღერდა: ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი. ამჟამად, ახლადგახსნილი სკოლის დასახელებაში ინტერნატი აღარ ფიგურირებს, თუმცა სკოლის ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ სამომავლოდ სკოლა სხვა

ფუნქციებსაც შეითავსებს. სკოლამ ავტორიზაცია მიმდინარე წლის 19 სექტემბერს გაიარა. დედოფლისწყაროს ცენტრში, ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორია ხორნაბუჯისა და შერეთის ეპარქიას რამდენიმე წლის წინ გადაეცა. პატარებს ტორტი ყოვლადუსამღვდელოესმა მელქისედეკმა თავად დაუჭრა, მოსწავლეებს მოემსახურა და სუფრასთან უმასპინძლა.

ილია მარტყოფლიშვილი

დღევანდელი ეპოქის შეფასება დროის საკითხია

(მეოთხე გვერდიდან)

ყველა ქართველში უნდა ღვიოდეს, რომ „ვინ იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვინ, იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში-ყველა, საცა თითოეული ყველასთვის არ ჰფიქრობს და ყველა თითოეულისთვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“- იშვიათი!“

როგორია თქვენი, როგორც ისტორიკოსის შეფასება და ანალიზი დღევანდელი საზოგადოებისადმი?

– დღევანდელი ეპოქის შეფასება დროის გადასწავლას, ეს ეპოქა წლების შემდეგ შეფასდება, რადგან იცით თქვენ, რომ ისტორია ერთი ამოსუნი თქვა არ არის, მას გარკვეული დრო სჭირდება, რომ საზოგადოებამ შეაფასოს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ის ნაბიჯები, რაც ქვეყნისთვის დადებითია, იმასაც გულახდილად ვუთხრებთ მოსწავლეებს და მასაც, რაც უარყოფითია. საქართველოს ისტორიაში არც ერთი დრო, არც ერთი ეპოქა არ ყოფილა, რომელიც საკამათო არ ყოფილიყო, არც შეუცდომელი ნაბიჯები ჰქონდა როგორც მმართველს, დავით აღმაშენ-

ბელსაც აკრიტიკებდნენ იმისთვის, რომ მან ორმოცი ათასი ყივჩაღი ჩამოასახლა, მაგრამ ეს გარკვეული პოლიტიკა იყო, სამაგიეროდ მან ქვეყანა ისრაელის თურქ-სელჩუკთა ბატონობისგან. უფრო მეტიც, საქართველო უძლიერეს იმპერიად აქცია. კრიტიკის ქარცეცხლის ობიექტიც ხშირად ის ხდება, ვინც საქმეს აკეთებს, რადგან ვინც არაფერს აკეთებს, მისი საქმე არც არავის აინტერესებს.

– განათლების რეფორმას რა შეფასებას მისცემდით, მოგწონთ თუ არა დღევანდელი სწავლების მეთოდი?

– გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ისტორია, ყოველწლიურად მხოლოდ ათი-თხუთმეტი საათი ისწავლება, ხოლო დანარჩენი საათები მსოფლიო ისტორიას ეთმობა, ფართოდაა განხილული და უამრავი ფურცელი ეთმობა პაპიზმს და მის მთელ კანონებს, მაშინ, როდესაც მართლმადიდებლობაზე ასე ფართოდ არცერთ წიგნში არაფერია თქმული. მხოლოდ მეცხრე კლასი გახლავთ, სადაც სრულად, მთელი სემესტრი ისწავლება საქართველოს ისტორია, რაც დამეთანხმებით, ნამდვილად არასაკმარისია. საქართველოს ისტორია, როგორც საგანი

ძველებურად ყოველწლიურად უნდა იყოს დაშვებული ცალკე საგნად, ხოლო შუა საუკუნეების და მსოფლიო ისტორია ცალკე საგნად ისწავლებოდეს, როგორც ეს ადრე იყო წლების და საუკუნეების მიხედვით. ეს გულისტკივილი ნამდვილად მაქვს და ამას ვერ დავფარავ. სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტიზმს მოსწავლე სწორედ თავისი ქვეყნის ისტორიის ღრმად შესწავლის საფუძვლებზე სწავლობდა და, თუ ეს ამოიღეს ისე, რომ ეროვნულ გამოცდებზე სულ რამდენიმე პუნქტით შემოიფარგლა ჩვენი ერის ისტორიის საკითხები, მაშინ მომავალ თაობაში სამშობლოს სიყვარული აუცილებლად დაიკარგება. მე მინდა, რომ ამ საკითხს სახელმწიფოებრივ დონეზე მიექცეს ყურადღება.

– დღევანდელ მოსწავლეებს როგორ შეფასებას მისცემდით, რელურად არსებობს მოსწავლეებში სწავლისადმი დიდი მონდომება და სურვილი, როგორც ეს შედარებით უფროს თაობებში იყო?

– არსებობს, რა თქმა უნდა. ვისაც სწავლა უნდა, ის ყოველთვის ცოდნის გაღრმავებაშია და იმის მცდელობაში, რომ მეტი და მეტი ისწავლოს, მაგრამ, მაინც უნდა აღვნიშნო,

რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ნიკოლოზ ჯანაშიაშვილი ჩემი სანიშნო მოსწავლე გახლდათ, ასეთივე კარგი მოსწავლე მყავდა კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, ელიზბარ ალუღიშვილი, ავთო გონაშვილი, სოსო ნატროშვილი. ეს ის მოსწავლეთა მცირე ჩამონათვალია, რომლებმაც ჯერ კიდევ სკოლის ასაკშივე დამამასხვორეს თავი თავისი მონსრიგებული საქციელით, დისციპლინით და ყველა საგანში გამორჩეული, სანიშნო სწავლით. ირაკლი შიოლაშვილი ძალიან ჭკვიანი და სერიოზული გახლდათ, მუდამ ყურადღებიანი და განონასწორებული, ყველა საგანს ერთნაირად კარგად ეუფლებოდა, აი, ნიკოლოზი კი, ასევე კარგად სწავლობდა საგნებს, მაგრამ უსაზღვროდ ცელქი იყო, თუმცა მისი სიციქის მიუხედავად, რადროსაც არ უნდა მოგეთხოვა მისი კითხვაზე პასუხი, ყველა კითხვას უმაღლესი შეფასებით პასუხობდა.

– გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებთ პროფესიულ საქმიანობაში და კიდევ ერთხელ გილოცავთ მასწავლებლის დღეს!

ლალა მხრინიშვილი

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“

ადამიანის ცხოვრებაში არის ღირსშესანიშნავი დღეები, რომელიც ტკბილ-მწარე მოგონებებად მიჰყვება მას სიცოცხლის პოლომდე. სწორედ ასეთი დასამახსოვრებელი დღეების შესახებ მოგვითხრობს ღვანდომოსილი ექიმი, რაიონისთვის ერთ-ერთი პატივსაცემი ადამიანი, გულნარა პოპიაშვილი. მისი წერილი მოგონებაა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში რაიონის მონინავე, სახელოვანი ადამიანების ეგვიპტეში მოგზაურობის შესახებ. მას მერე ორმოცი წელია გასული. ამ პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა-

რომ მეც მათთან ერთად წავსულიყავი სამოგზაუროდ და თანაც დასძინა, იქ ერთსაც რომ დასჭირდეს ექიმის დახმარება, იმდენად ძვირია, მთელი ჯგუფის თანხა ერთად აღებული არ ეყოფათ.

1 ოქტომბერს გავემგზავრეთ თბილისში, სადაც ჩვენს ჯგუფს შემოუერთდა თბილისელების 10 კაციანი ჯგუფი. ჩავვიტარეს ინსტრუქტაჟი, გაგვაცნეს საზღაურ-გარეთ მოქცევის წესები, შემდეგ გაგვზავნეს თბილისის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში ყვავილის სანიან-აღმდგომ აცრის ჩასატარებლად.

ენიშნე წარწერა, „რადიოუზელ“, ჯგუფს ჩამოვრჩი და გამოგზავნე სახლში დეპუტა.

მეორე დღით, საუზმის დროს, რადიოში განუწყვეტლივ აცხადებენ ჩემს სახელსა და გვარს, (რაც

და აზის კონტინენტებს, ხიდის სიგრძე 1080 მეტრია, ოდნავ თალოვანია, მის ქვეშ თავისუფლად გადის ისეთი დიდი გემები, როგორც ჩვენი იყო. გემბანიდან მოჩანდა სტამბოლი უამრავი მეჩეთითა და ათასნაირი ფერადი რეკლამით. ბოსფორის სრუტის გავლით გავდიოდით მარმარილოს ზღვაში, გემიდან მოჩანდა მრავალი დასახლებული კუნძული, გავიარეთ დარდანელის სრუტე და გავდივით ეგეოსის ზღვაში. საღამოს მოწყობილი კონცერტი, გემის ეკიპაჟისა და ტურისტების მონაწილეობით. სულ იყო 8 ტურისტული ჯგუფი, ძირითადად რუსეთიდან, მოსკოვიდან, ნოვოსიბირსკიდან, მაგდანიდან, ტუმენიდან, ვლადივოსტოკიდან და სხვა. ჩვენი იყო VI ჯგუფი, სასადლოში ყველას იხმობდნენ ჯგუფის რიგითობის მიხედვით. გავაგრძელეთ მოგზაურობა. გავდივით ხმელთაშუა ზღვაში, ღამით გემის ერთი მოტორი გამოსულიყო მწყობრიდან, ამის გამო გავიხანგრძლივდა ზღვაში მოგზაურობა და ნაცვლად საათში 20 მილისა, გავდიოდით 8 მილს (1 მილში 1800 მეტრია).

დაუქენიე. მან ხელი ჩამომართვა და გამეცნო - დოქტორ ახმედი. მერე სტერილიზატორზე მანიშნა, რად გინდაო? მე ლათინურად ვუპასუხე, რაც ანუხებდათ. თან მქონდა ქალბატონ ნინას თერმოსი და ექიმს ვანიშნე, ჩაესხა ადულე-ბული წყალი, რომელიც ღუმელზე იდგა. მან გაავსო თერმოსი და თან გამოგვყვა (შემდეგში ეს ანაღულარი წყალი ნამალივით გავანანილე) შემომყვა ავადმყოფთან, დამინახა, რომ გამზადებული მქონდა ანაღ-გინისა და დიმედროლის ამპულები, არ დამანება, რომ ესენი გამეკეთებინა, მომცა თავისი ამპულა, რომელსაც ეწერა „ნოვალგინ“. ჩვენებმა მიკვირეს, არ ენდო. ახმედი, თითქოს მიხვდა მათ მათქვამს, დაიროქა, ანაღგინს ხელი დაადო და მითხრა: ეს მოსკოვში, თავის ამპულაზე კი მანიშნა, ეს აქაო. მეც დაუფუჯე და გავაკეთე, რადგან, თუ მასიურად გახდებოდნენ ავად, ნამლების მარაგი არ მეყოფოდა. ავადმყოფები ოფლად დაიღვარნენ, სიცხემაც დაუწიათ და მოგვიანებით, მასუსტებულეს ღრმად ჩაეძინათ. ამასობაში გათენდა კიდეც. დილით ქალბატონმა ზაირამ განაცხადა: „არა, გენაცვალე, ექიმობას ჩემი მწველაობა მირჩევნიაო, ვიცი, რომ დილის 5 საათზე ძროხები უნდა მოვწველო, მერე დავისვენო და ა.შ.“ მისმა ნათქვამმა ყველა გაამხიარულა.

ამ წერილს უკმდენი ჩვენი რაიონის გასული საუკუნის ღვაწლმოსილი ადამიანების ხსოვნას.



9 ოქტომბერს დილით მივაღებთ ქალაქ ალექსანდრიის პორტს, სადაც იყო დაახლოებით 300-მდე გემი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. პორტში დავათვალიერეთ უნიკალური თევზების აკვარიუმი. მეორე აკვარიუმში, (რომელიც ამენებულა მსოფლიოს 7 საოცრებიდან ერთ-ერთის ალექსანდრიის შუქურას ადგილზე) განთავსებული იყო სხვადასხვა თევზის ფიტული, მათ შორის ზვიგინის, ვეშაპის ჩონჩხები. შემდეგ

ლა საქართველოში. ბუნებრივია - ეგვიპტეშიც. მაგრამ ის მრავალსაუკუნეგამოვლილი მსოფლიო საოცრებები, რომელიც დღესაც ისევ აოცებს მნახველს, საინტერესო იყო, არის და იქნება მომავალშიც. სწორედ იმ ფასეულობების და ადამიანთა ურთიერთობების წარმოჩენის მიზნით ვაქვეყნებთ ამ წერილს.

ჯგუფის ხელმძღვანელმა ბატონმა მურთაზმა, გადმომცა სია და მითხრა, ყურადღება მიაქციე, აუცრელი არავინ დარჩესო.

3 ოქტომბერს გავფრინდით ოდესაში, მოგვათავსეს პორტის სასტუმროში, ღამის გათევა მომიწია თბილისელ ქალბატონებთან. მათი საუბრიდან შევიტყვე, რომ გასაყიდად მოჰქონდათ ფოტოაპარატები, რადიომიმღებები, ელექტროუთოებიც კი და სხვა. ჩემს ერთ პატარა ჩემოდანში კი, აუცილებელი საცმელის გარდა, მეტი ნილი ადგილი ეკავა პირველი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებს, შესახვევ მასალას, შპრიცებს, სტერილიზატორს და წნევის აპარატს. დილის შვიდ საათზე წავდივით პორტში, გზაზე შეგვხვდნენ ეგვიპტიდან მომავალი რუსი ახალგაზრდები, რომლებსაც შევეკითხე: ეგვიპტეში რა იყიდებოდა ყველაზე მომგებიანად, მითხრეს, „სპიკაო“ (ფოტოაპარატის), მე გავიგე „სპიკაო“, თან გავგაფრთხილეს, იქაური ონკანის წყალი არ დალიოთ, ბიჭებს ვთხოვე და რესტორანში (რადგან დილით ადრე მაღაზიები დაკეტილი იყო) ვაყიდინე ასანთის კოლოფები და ჩავიყარე ხელჩანთაში, გემზე ასვლამდე გამშვებ პუნქტში გულდასმით შეამოწმეს ჩვენი ბარგი და გაკვირვებულბმა აღნიშნეს: ჯერ საქართველოდან ამისთანა წესიერი ჯგუფი არ ყოფილაო, ზოგჯერ სამუზეუმო ექსპონატების გატანასაც კი ცდილობენო, თბილისელების „აღჭურვილობა“ ჩვენი მოკრძალებული ბარგი ვერ გადანახა. გავემგზავრეთ თბილისად „პოდათი“, რომელიც იყო ჰიტლერის ყოფილი გემი. იმ დროისათვის, საკმაოდ კომფორტული და სათანადო ტექნიკით აღჭურვილი, მოგვინყეს ექსკურსია გემზე, დაგვათვალიერებინეს მართვის მექანიზმები, რადიოლოკატორები, რომლებიც ასე კილომეტრის რადიუსით აჩვენებდნენ ყველაფერს, პატარა კატერებსა და თოლიებსაც კი. შე-

კაიროს ცენტრალური მოედანი 40 წლის წინ



გემის ყველა კუთხე კუნჭულში ისმოდა), რომ გამოვცხადებოლიყავი რადიოკვანძში, ჩამოვარდა სიჩქემე, ყველამ გაანება ჭამას თავი, შემოვითდნენ, ალბათ იფიქრეს, რაიმე ინციდენტი ხომ არავინ მომიწყო. რადიოკვანძში გადმომცეს დეპუტა, ჩემი უმცროსი ვაჟის, გიგლას სახელით, გავტყობინებდნენ, რომ სახლში ყველა კარგად იყო, ყველამ შვებთ ამოისუნთქა და ისე მიიღო, თითქოს საკუთარი ოჯახის ამბავი გაეგოთ.

საღამოს მოგვინყეს შეხვედრა გემის კაპიტანთან, მის მოადგილეებთან, მექანიკოსებთან და ეკიპაჟის სხვა წევრებთან. ამის შემდეგ ჩვენმა ჯგუფმა მოანყო ბანკეტი, საღამოობით ვიკრიბობოდი გემბანზე, ვხუმრობდით, ვმართობდით, განსაკუთრებით მე და ბატონი არსენა. მათი კუთხის ხალხს ხომ კარგად ეხერხებათ „კაფიაობა“. გვიჩვენებდნენ კინოფილმებს, მათ შორის ქართულსაც, ალბათ, ჩვენს საპატივსაცემოდ.

მივუახლოვდით ბოსფორის სრუტეს, მოჩანდა სტამბოლი და მისი შესანიშნავი ხიდი, რომელიც ერთმანეთთან აერთებს ევროპისა

ავტობუსით წავედი ქალაქში, დავათვალიერეთ პარკი „მანტაზა“ და მოვეწყეთ სასტუმროს ორ ადგილიან ნომრებში. მე დავბინავდი ზაირა ალხანშვილთან ერთად. შუალამისას გამაღვიძეს ჩვენებმა და გამაგებინეს, რომ ჩვენი ჯგუფიდან რამოდენიმე ავად იყო. (ჰქონდათ მალალი ტემპერატურა, ლებინება, მუცლის ტკივილი და ფეხბრათი), მათი დახმარების დროს თან დამყვებოდნენ ბატონი არსენა, ქალბატონები: ნინა და ზაირა. ჰქონდათ 40 გრადუსი ტემპერატურა, დაუსრულებელი ლებინება და დარევა. საჭირო იყო სასწარფოდ, გაუწყლოებასთან ბრძოლა, მაგრამ რით, როცა დასაღვეი სუფთა წყალიც კი არ გვექონდა. მოვიფიქრე და გავიყვალე ახალგაზრდები (რადგან ყველაფერთხილეს, რომ ქალები მარტო არსად გავსულიყავით) ძარბალოს ბიკაპილი და მინი ძაღბიძი. I სართულზე მივაგენით სამზარეულოს, დავდგი სტერილიზატორი ელექტრო ღუმელზე შპრიცების გამოსასხარშად. სამზარეულოდან ვიღაც გავიდა და შემოიყვანა ერთი არაბი, რომელიც შემეკითხა: დოქტორ? მეც თავი

ხოლომე: „პაპაპა, კაცო, როგორი ლარივით გზააო, ეს არის ჩამორჩენილი ეგვიპტეო“. მაგრამ ძალიან ჩქარა ვიხილეთ შემამრწუნებელი სურათები. მთლად მიშველი მამაკაცები და ბავშვები უზარმაზარ ლოდებს ხელით ამტვრევდნენ, ხნავდნენ ხარზე გამობმული კავით. მოჩანდა პატარა ქოხები, (ქოხიც არ იყო) სახურავის გარეშე 4 კედელი, (იქ წვიმა მოდის 4 წელიწადში ერთხელ)

მიუხედავად ამისა, მოსავალი წელიწადში 3-ჯერ მოჰყავთ დედა მდინარე ნილოსის წყალობით. გზაზე ჩვენი ავტობუსი გამოვიდა მწყობრიდან. ჩამოგვიყვანეს სადაც ტრასაზე, ბარგი დარჩა ავტობუსში. ქალებს ხელჩანთები მაინც შეგვრჩა ხელში, კაცები დარჩნენ ცხვირსახოცის აშარა. აქ კი გამოიშავდა ოდესაში შეცდომით ნაყიდი ასანთის კოლოფები, რადგან ტუალეტები ფასიანი იყო და მამაკაცებსაც გაუუმართე ხელი. კარგა ხნის შემდეგ გადაგვანანილეს სხვა ჯგუფების ავტობუსებში.

(დასასრული შემდეგ ნომერში) მასალის მომზადებაზე იმუშავა ნაირა გორაშვილი

ნეტავ კი ყველა დაბერდებოდეს!

„სიბერე“ – რამდენ რამესთან ასოცირდება ეს სიტყვა – ტკივილი ფიზიკური თუ სულიერი, სისხარული შთამომავლობის ხილვით, მათი წარმატებებით გამოწვეული, მოგონებებს შერჩენილი ლაღი და უდარდელი ახალგაზრდობა, სარკიდან მომზარალი ნაოჭებით დაღარული სახე და დაუძღურებული მუხლები, ამ ქვეყნიდან წასული თანატოლების მონატრება და... შიში, შიში სიმარტოვის და სიკვდილის!

საუკუნეებია, დაბერების შეჩერებაზე მუშაობენ მსოფლიოს მეცნიერები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ 2035 წლისთვის იქნება ტექნოლოგიები, რომლის გამოყენებითაც

სიბერისგან აღარავინ გარდაიცვლება, სიბერე „განკურნებადი“ გახდება. მსოფლიოს სტანდარტებით ახლა სიბერის ზღვარი 120 წელია. ამჟამად კი ყველაზე ხანდაზმული მოქალაქე საფრანგეთს ჰყავს – ფრანგი ქალბატონი, რომელიც მთელი ცხოვრება კაფეს მუშაობდა იყო და ყოველდღიურად ადამიანებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, ხალისიანი და ყმანვილური ბუნებით გამოირჩევა, სწორედ ეს მიაჩნიათ მისი სიცოცხლისუნარიანობის მიზეზად. ის 121 წლისაა და კვლავ მხნედ გამოიყურება.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას განაპირობებს ერთი ფაქტორიც – რამ-

დენად ხარ მზად იყო საჭირო გარემომცოვითათვის. როცა ფუნქციონირებდა გრძნობთავს, ითრგუნები, ფიქრობ რომ აღარავისთვის ხარ საჭირო, ზედმეტი ხარ და ყველასგან მოძულებული. ეს კი დეპრესიის უტყუარი მიზეზია და თუ გვიან ჩვენი ოჯახის ყველა წევრი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, იყოს ჯანმრთელი, უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა, შრომის და ამავის დაფასება, რადგან, როგორც პოეტი იტყობდა, „ჩვენც დაბერდებით!“

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები თავზე საყურად აქვს ყველას, თანდათან

უფერულდება ტრადიცია, რომ ხანდაზმულ ადამიანს პატივისცემით და მზრუნველობით მოვექცეთ, ვასწავლოთ შვილებს და შვილიშვილებს მოხუცების სიყვარული.

წელს 2 ოქტომბერი მოხუცთა მსოფლიო დღედ გამოცხადდა. ანალოგიურად, საქართველოში ამ დღეს ხანდაზმულთა დღე უწოდეს. იმედია, ხანდაზმულებზე ზრუნვა სამომავლოდ უფრო პრიორიტეტული გახდება. დღეს კი, გარდა იმისა, რომ მათ აქვთ საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა და ასაკობრივი პენსია, ჩვენს რაიონში 100 წელს მიღწეულ მოქალაქეებს გამოეგება 200 ლარს ჩუქნის.

2013 წელს 100 წელს გადასცილდნენ ზემო ქედლები მელის საბიაშვილი და ქეთო ნათაძე. 2014 წელს 100 წელს მიაღწია მარუსა ფიროსმანაშვილმა. ნათელში იყოს მათი სულები. 2015 წელს 100 წელი შეუსრულდება ქალაქ დედოფლისწყაროში, შერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №81-ში მცხოვრებ ქალბატონს ელენე ლაპიაშვილს და ზემო მარხაშვილს თამარ ცაქაშვილს. რაიონში 90 წელს გადაცილებული 37 მოქალაქეა. აქედან მამაკაცი მხოლოდ 8 არის ქალი კი – 29. უსუსრვით მათ მხნეობა და ჯანმრთელობა.

ნაირა გორაშვილი

LONDON EVENING POST, 1761 მთელ იმპერიაში სახელგანთქმულია პრინცი ჰერაკლიუსი, საქართველოს მმართველი

„ჩვენ ყოველთვის წარმოვანებენ ჩვენს სწრაფვას ევროპისაკენ, მაგრამ თურმე ევროპაც არაერთხელ ყოფილა საქართველოთი დაინტერესებული. რადგან ევროპული პრესა მთავარ გვერდებზე წერდა მეფე ერეკლეს შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპა თავის უკიდურეს საზღვრად საქართველოს აღიქვამდა. მას აღიქვამდა ევროპულ კედლად და ამ კედლის ყველაზე საუკეთესო დამცველი - მეციხოვნე ერეკლე მეორე იყო...“ ამბობს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი - გიორგი კალანდია.

არსებობს ლეგენდა, რომ ერეკლე მეორეს ბეთაჟოვნება მეცხრე სიმფონია მიუძღვნა. ეს ოდნავ საეჭვოა, რადგან ბეთაჟოვნის დროს ერეკლე მეორე აღარ იყო ისეთი ცნობილი და პოპულარული. თუმცა გამოიცხადდა არ არის, რადგან ბრიტანული და საქართველოში არსებული პრესა დიდი იმედებით ადევნებდა თვალყურს ერეკლე მეფის პოლიტიკურ ცხოვრებას და სამხედრო კარიერას.

- რას გვაცნობს ბრიტანული პრესა?

მასალები, რომელიც ერეკლე მეორეს შესახებ ჩამოვიტანეთ არის 1642 წლიდან 1798 წლის ჩათვლით. ვიცით რომ ერეკლე მეორე დაიბადა 1720 წელს და მისი სახელი ბრიტანულ პრესაში პოპულარული ხდება 1752 წლიდან. 1752 წლიდან მთავარ გვერდებზე ყოველთვის არის ინფორმაცია ერეკლე მეორის შესახებ... აი მაგალითად: PUBLIC ADVERTISER. LONDON. 15. 11. 1772 წერს: - პრინცი ჰერაკლიუსი საქართველოდან არის სპარსეთის ტახტის პრეტენდენტი, რომელმაც გამანადგურებლად დაამარცხა ბრძოლაში შაჰ-სეფი და ისპაჰანში მისი ტახტი დაიკავა... რა თქმა უნდა ეს ინფორმაცია ძალიან გაზვიადებულია, იმიტომ რომ ერეკლეს არ დაუკავებია ისპაჰანი ტახტი და არც სპარსეთის ტახტის პრეტენდენტი ყოფილა. თუმცა მან ბრძოლაში ირანის ტახტის ორი პრეტენდენტი დაამარცხა და ამას როგორც ჩანს ძალიან დიდი იმედი შეხება ევროპულმა საზოგადოებამ. 1754 წელს შემდეგ წერენ: ჩვენ გვაცნობენ სპარსეთიდან, რომ პრინცი ჰერაკლიუსმა, რომლის გმირობებ-

მაც მთელს მსოფლიოში უდიდესი ხმაური გამოიწვია, გადასროლა თავისი ძალები კასპიის ზღვის ნაპირებთან. ხოლო 1744 წელს წერს: საქართველო აზიის უდიდესი ქვეყანაა, რომელიც კასპიის ზღვის ნაპირებამდეა გადაჭიმული... - ანუ იმდენად აქტუალური და პოპულარულია ერეკლე მეორე, რომ მის ქვეყანაზეც ლეგენდები დადის. LONDON EVENING POST, 1761 წერს: შაჰ ნადირის სიკვდილის შემდეგ მთელ იმპერიაში სახელგანთქმულია პრინცი ჰერაკლიუსი, საქართველოს მოქმედი მმართველი, რომელმაც დიდება იმპერიის სამოქალაქო ომში მოიხვეჭა... ერეკლე მეორე არ იყო სამოქალაქო ომში ჩართული, მაგრამ ვიცით რომ ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებს სპარსეთიდან გამოგზავნილ მტერს საქართველოს ნინაღმდეგ და ეს მოვლენა როგორც ჩანს ევროპულ პრესაში დიდ გამომხატვრებას პოულობდა... იგივე გაზეთი წერს: ამსტერდამიდან მიღებული ბოლო წერილის თანახმად, პრინცი ჰერაკლიუსი - სპარსეთის ახალი დამპყრობელია.

- როგორც ზემოთ გვითხარით, არამარტო ბრიტანული პრესა წერდა ერეკლე მეორეს შესახებ...

დიახ... ასევე: „სპარსეთიდან მოსული ბოლო ცნობების თანახმად, რასაც ასტრახანშიც გვიდასტურებენ პრინცი ჰერაკლიუსმა საქართველოდან თავის ძლევამოსილ არმიასთან ერთად უკვე დაიპყრო რამდენიმე ქალაქი და ნახევარი ისპაჰანი“ - ჰამბურგი, 1752, 13 მარტი... ეს ინფორმაცია საინტერესოა იმ მხრივ, რომ მეფე ერეკლეს შესახებ არამარტო ინგლისში იცინან, არამედ იცინან ჰამბურგშიც, ასტრახანშიც, ამსტერდამშიც... მთელი ევროპული საზოგადოება ძალიან დიდი იმედი შეჰყურებდა ერეკლე მეორეს. თავისთავად ცნობებიც ძალიან გაზვიადებულია. იმ ეპოქაში, როდესაც დასავლური ცივილიზაციის ღირებულებები ფაქტიურად განადგურა ერთი მხრივ სპარსეთმა და მეორეს მხრივ ოსმალეთმა, (რომელიც ლამის ვენამდე იყო მისული თავის ძლევამოსილებით), ამ დროს გამოჩნდა ქართლ-კახეთის მმართველი, ქრისტიანი მეფე, რომელიც ახერხებს დასავლური ცივილიზაციის შენარჩუნებას და ამ ცივილიზაციისთვის ბრძოლას. სწორედ ამიტომ იყო დიდი იმედი განმსჭვალული ერეკლე მეორეს მიმართ ევროპული საზო-

გადოება: ამის ერთ-ერთი გამოძახილია 1766 წელს დაბეჭდილი ცნობა: პრინცი ჰერაკლიუსი საქართველოდან, რომელიც მსახურობდა ლეიტენანტის ხარისხში პრუსიის მეფის, ფრიდრიხ-ვლადის შვიარალულ ძალებში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იწყებს განმათავისუფლებელ ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ... მეფე ერეკლეს არასოდეს არ უმსახურია პრუსიის მეფის შეიარაღებულ ძალებში, მაგრამ პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის ცნობილი სიტყვებია - მსოფლიოს ორი მმართველი ჰყავს, დასავლეთში ეს მე ვარ და აღმოსავლეთში პრინცი ერეკლე... მარტო ლეგენდები და გაზვიადებული ცნობები არ არის, აი, ეს უკვე სიმართლეა: ლეგეორანიდან მოსული პირადი წერილებიდან ჩანს, რომ პრინცი ჰერაკლიუსმა საქართველოდან, მოიპოვა სრული გამარჯვება ერზერუმის ფაშის 50 ათას კაცანი არმიის წინააღმდეგ... ვიცით რომ ერეკლე მეორემ რამდენჯერმე დაამარცხა მუსლიმთა დიდი კოალიცია... არცერთი გაზვიადებული ინფორმაცია ჰაერადან მოტანილი არ არის. მას რაღაც საფუძვლად სიმართლე უდევს... ერეკლე მეორის შეფასებას ასე გაზვიადებულად თავის ახსენა აქვს. ევროპულ საზოგადოებას, დასავლურ ქრისტიანულ სამყაროს ძალიან დიდი იმედი ჰქონდა ერეკლე ბაგრატიონისა, რომელიც აღმოსავლური ძალიან ძლიერი იმპერიების კლანჭებში იყო მოქცეული და თავდადებულად და გმირულად იბრძოდა დასავლური ცივილიზაციისა და ქრისტიანული ღირებულებების შესანარჩუნებლად.

ინფორმაციები ერეკლე მეორეს შესახებ გადმოგვცა ირლანდიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ. ხუთასზე მეტი ნაბეჭდი გვერდი მივიღეთ. მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს საელჩოს ირლანდიაში, ბატონ გიორგი ზურაბიშვილს და ქალბატონ ნათია კალანდიას.

- როგორ გაცნობა ამ ინფორმაციებს დანიტერესებული პირი?


ჩვენი მიზანია, ეს მასალა, ერთი მხრივ სტუდენტების და მეორეს მხრივ პროფესორთაგანს მიერ ითარგმნოს ქართულ ენაზე და კრებულის სახით გამოიცეს ქართულ-ინგლისურად. ძალიან გვიყვარს ქართველებს, თავს რომ ვიქცებ, ვამაყობ ჩვენი ისტორიით, ამიტომაც უცხოელ მკითხველს საშუალება ექნება არა ქართულად გაზვიადებული, არამედ ინგლისურად გაზვიადებული ცნობები ნახოს ჩვენი სახელოვანი მეფის შესახებ... ისტორიკოსები ძალიან აქტიურად ჩავერთვები. ვეცდებით მკითხველს ვაჩვენოთ რა არის გაზვიადებული და რა სიმართლეა. იმიტომაც გვსურს ეს კრებული გამოიცეს ინგლისურად და ქართულად, რომ ეს არის საუკეთესო დასტური იმისა, რომ საქართველოთი დანიტერესება ევროპიდან ამდენად დიდი იყო.

- ისტორიკოსებისთვისაც ერეკლე მეორეს შესახებ ბევრი სიახლე იქნება...

- ისტორიკოსებს ეძლევათ საშუალება კიდევ ერთხელ შეაფასონ ერეკლე მეორე. ვიცით, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის გამო მის შესახებ ჯერ კიდევ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ეს წერილები კი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იგი. ჩვენ არ გვყავს ამ მასშტაბის პოლიტიკოსი, რომლის შესახებაც ამდენი დანერვილია. არამარტო ინგლისური არამედ გერმანული და რუსული პრესაც ყოველთვის ზეალმატებულად წერდა ერეკლე მეფის შესახებ. ერეკლე მეორეს არ ვაძარებ დავით აღმაშენებელს, მაგრამ ერეკლე მეორე არის ერთადერთი ქართველი მამაკაცი მონარქი, რომლის შესახებაც ასეთი დიდი გამოხმაურება იყო. ქეთევან დედოფალსაც თავის დროზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ არა პრესაში, არამედ უცხოურ გამოცემებში... ამდენად ძალიან საამაყოა, როდესაც მსოფლიოს უდიდეს ბიბლიოთეკაში ზიხარ და შენი მონარქის შესახებ ასეთ ცნობებს კითხულობ.



გამოსათხოვარი



ზაზა ტუხაშვილი

ლი სამომავლოდ?! შენი შრომისმოყვარეობით შესძლებდი კიდევაც სიძნელეებთან შერკინებას, ოჯახის შექმნასა და შენებას, რომ არა უბედური შემთხვევა, რომელმაც გააცამტვრა და აზრი დაუკარგა ყოველივეს.

ტრაგედიით შეძრწუნებულები გვერდიდან არ ვშორდებით შენს გაუბედურებულ მშობლებს, ძმას, ყველა შენიანს და არც კი გუნწყით, როგორ ვანუგეშოთ ისინი...

ჯერ კიდევ ვერ გავციცნობიერებია, ჩვენს გვერდით რომ აღარ ხარ... ცისმარე დღე თითქოს შენს გამოჩენას ველოდებით უბანში. ვაი, რომ ეს მხოლოდ ჩვენი სურვილია და ტკივილიანი მონატრება საზარელ რეალობაში გვაბრუნებს!

ჩვენო ზაზა, გემშვიდობებით და მადლობას გიხდით იმ უდიდესი სიყვარულის, სიკეთისა და თანადგომისათვის, რაც, შენი ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, ყველა ჩვენთავანისათვის შეძელ და დაგვიტოვა გასახსენებლად! ღმერთმა დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული!

შენი გულდაწყვეტილი უბნალები

ქალაქ დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მანანა ჯანაშვილს და ჯუნო ბენაშვილს მამის

შალვა ბენაშვილის გარდაცვალების გამო.

მონმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი ტრაგიკული დაღუპვა. უღმობელმა ბედისწერამ არ გაცალა სიცოცხლით ტკობა, მომავალი ბედნიერება... დაასვედიანე მთელი რაიონი, შენს მშობლიურ უბანს კი გაუქარვებელი ურვა და ნალექი დაუტოვე...

დაზაფრულები დავედვართ შენი ქუჩელები და მხოლოდ ამასლა ვეკითხებით ერთმანეთს, თუ რატომ გერგო ასეთი სასტიკი ხვედრი შენ, სიცოცხლეზე შეყვარებულს, ხალისიანს, ალალმართალს, ყველასათვის სიკეთის მნდომსა და დასახმარებლად მუდამაჟს მზადმყოფს...

არადა, როგორი იმედი შეჰყურებდი ხვალისდელ დღეს, რამდენი გეგმა გქონდა დასახუ-

პედაგოგებს პროფესიული დღე მიულოცეს და დააჯილდოვეს

დედოფლისწყაროს კულტურის სახლში მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. 60-მდე მასწავლებელს „ამაგდარი პედაგოგისა“ და „ნარმატებული პედაგოგის“ წოდება მიანიჭეს და დაასაჩუქრეს. მათ სიტყვით მიმართა და სიტყვით გადასცა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლები „იმედი“ და „შირაქი“, რომელთაც მაცურების წინაშე ახლადდადგმული ცეკვები წარადგინეს. ღამაზად გაფორმებული ნომრები აჩვენეს სტუდია „არლეკინოს“ ბავშვებმა, შემდეგ კი ჩვეულებრივ ოსტატობით იმღერეს დემა ლოლაშვილმა, ახლადმეცნიერი ქართული ხალხური სიმღერისა და საგალობლების სკოლის მოსწავლეებმა.

ამას გარდა, დავილდოვდნენ ყველაზე წარმატებული დედოფლისწყაროელი აბიტურიენტები, რომლებიც წელს სტუდენტები გახდნენ. 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება დედოფლისწყაროდან ოთხმა სტუდენტმა მოიპოვა. ყველაზე წარმატებული აბიტურიენტები იყვნენ: სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ქეთევან ტუხაშვილი და დარეჯან გოგაშვილი, სოფელ სამრეკლოს სკოლიდან ელენა სულაშვილი და სოფელ ზემო ქედის №2 საჯარო სკოლიდან თორნიკე ტაყუნაშვილი.

„ძალიან მისარია, რომ შესაძლებლობა მოგეცა დედოფლისწყაროელ პედაგოგებს მოეფერებოდით და მადლობა გვეთქვა იმისათვის, რომ მრავალი წლის მანძილზე თავდაუზოგავად შრომობდნენ და მომავალი თაობის აღზრდისთვის იბრძოდნენ. დღევანდელი საღამო იმის დასტურია, რომ ქედს ვიხრით მათ წინაშე და ვცდილობთ დავაფასოთ მათი ღვაწლი. ისინი ემსახურებიან საკუთარ რაიონს და თავის ქვეყანას, ამიტომ ჩვენგან თანადგომას იმსახურებენ. ბევრი მათგანი ამჟერად აღარ მუშაობს, მაგრამ მაინც ამყად არიან, რადგან მრავალი თაობა აღზარდეს და ისინი სხვადასხვა სფეროში წარმატებით მუშაობენ. მათი ღვაწლი კი ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე ახსოვს,“ - განუცხადა „შირაქს“ დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„დედოფლისწყაროელ ღვაწლმოსილ პედაგოგებს ერთი ღამაზი საღამო მოეწყო, უბედნიერესი ვარ, რომ ეს დღე ასე ღამაზად ჩატარდა და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ამდენი ბედნიერი მასწავლებლის გაბრწყინებული სახე ვნახეთ და ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო. მასწავლებლის ვალს ვერავინ ვერასოდეს ვერ გადაიხდის, მაგრამ ჩვენ შევძელით ასეთი ღამაზი ღონისძიება მათთვის მიგვეძღვნა. ფასიან საჩუქრებთან ერთად მათთვის სპეციალურად შევადგინეთ ძალიან თბილი მისალოცი ტექსტი. ძალიან ველავადი, პედაგოგებს რომ ეძღვნებოდა, ამიტომ უფრო განვიცდიდი. რაც მთავარია, ამით ყველაფერი არ დათავრებულა. იმის გამო, რომ ყველა სოფლიდან ღვაწლმოსილ პედაგოგებს ამ დარბაზში ფიზიკურად ვერ დავტყვევდი, გადაწყვიტეთ, რომ ანალოგიური ღონისძიებები წელსვე ეტაპობრივად სოფლებშიც გაიმართება და უშუალოდ იმ სოფლებში მცხოვრებ დამსახურებულ პედაგოგებს მიეძღვნება. ასე რომ, ჩვენ არაფერ არ გამოგვრჩენია, მათთვის კიდევ ვგეგმავთ სიურპრიზებს,“ - აღნიშნა „შირაქთან“ საუბრისას კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა ნონა ჯიბაშვილმა.

დასახელებულ პედაგოგთა სია ასე გამოიყურება:

- ამაგდარი პედაგოგები**
1. მარიამ ისაიაშვილი
 2. მაყვალა მაისაშვილი
 3. ცისანა მჭედლიშვილი
 4. რუსუდან არაბული
 5. დარეჯან ყოჩიაშვილი
 6. თებრო აფციაური
 7. ნათელა პოპიაშვილი
 8. ლამარა მატიაშვილი
 9. ნათელა ნარბაშვილი
 10. შოთა ტოკლიკიშვილი
 11. მადლენა პაპიძე
 12. ლამარა გონაშვილი
 13. მედეა ბეგლარიშვილი
 14. მერი თანდაშვილი
 15. მერი შაპიაშვილი
 16. ცქური იაკობიშვილი
 17. მარიამ ბილიაშვილი
 18. სვეტლანა შალვაშვილი
 19. ნანული ნატროშვილი
 20. მაყვალა ნადირაშვილი
 21. ესმა პოპიაშვილი
 22. ესმა რობიტაშვილი
 23. თამარ ყოჩიაშვილი
 24. ლილი ბოსტაშვილი

25. ცირა ჯალიაშვილი
26. შუშუნა ნატროშვილი
27. ზინა თარაშვილი
28. ელენე ჭუაძე
29. ელისო მარტიაშვილი
30. მზია ნატროშვილი
31. მერი რუაძე
32. ზიზო ბიკაშვილი
33. ციცინო ონანაშვილი
34. ნინო ბოსტოლანაშვილი

ნარმატებული პედაგოგები

1. დალი ბენაშვილი - ქ.დედოფლისწყარო №1 საჯარო სკოლა
2. ეთერ ალადაშვილი - ქ.დედოფლისწყარო №2 საჯარო სკოლა
3. ვიოლეტა დავითიანი - ხორნაბუჯის საჯარო სკოლა
4. ეკატერინე ჯავახიშვილი - სამრეკლოს საჯარო სკოლა
5. თამარ ალადაშვილი - არბოშიკის საჯარო სკოლა
6. ზოია ფირსმანაშვილი - ზემო მარხანის საჯარო სკოლა
7. ეკატერინე - გამარჯვების საჯარო სკოლა
8. მაია თევზაძე - ოზანის საჯარო სკოლა
9. ქეთინო ბუჯაური - ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა
10. რუიზან ტალიაშვილი - ზემო ქედის №2 საჯარო სკოლა
11. ნათელა ბუთხუზი - არხილოსკალოს საჯარო სკოლა
12. ცირა ლაჩიშვილი - ქემო ქედის საჯარო სკოლა
13. დარეჯან პაპიაშვილი-ჩოხელი - სამთავაროს საჯარო სკოლა
14. ასმათ ზაიელი - სოფ. ფირსმანის საჯარო სკოლა
15. მაისა ალაჯანიანი - საბათლოს საჯარო სკოლა
16. ირინა შაბაშვილი - კერძო სკოლა „ბენაური“
17. ნინო ლაპიაშვილი - ხელოვნების სკოლა
18. ქეთინო საბაშვილი - ხელოვნების სკოლა
19. ნელი ხარაზიშვილი - სასწავლო ცენტრი „სპექტრი“
20. თამარ ლაპიაშვილი - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.



ვულოცავ პროფესიულ დღეს, ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს და მხნეობას,“ - ამბობს პედაგოგი ქვესრი პოპიაშვილი.

„ჩემთვის მართლაც დაუფინყარი დღე იყო და ძალიან დიდხანს შემეხსოვრება. მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს დღეგამა და განახორციელა. ყველა პედაგოგს ვულოცავ ამ დღეს და კვლავ მრავალი თაობის დაფრთხილებას ვუსურვებ,“ - აცხადებს მზია ნატროშვილი.

„ამაღლებელი და არაჩვეულებრივი დღე იყო. მადლობა მინდა ვუთხრა კულტურის სამსახურს, რომ ასეთი დღესასწაული გვაჩუქა. უკვე ორმოცი წელია ამ საქმეს ვემსახურები და დღეს ძალიან ღამაზი დღე გვექონდა, მინდა ყველა ჩემს კოლეგას მივულოცო, ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და ყოველივე კარგი,“ - აღნიშნა ანა ჭუაშიანი.

ყველაზე წარმატებულ დედოფლისწყაროელ სტუდენტად დასახელებული თორნიკე ტაყუნაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აცხადებს, რომ მისთვის სასიამოვნო და ძალზე სასიხარულოა, რომ წარმატებულ დედოფლისწყაროელ ახალგაზრდობის ოთხეულში მოხვდა. როგორც „შირაქს“ გაარკვია, ის ზემო ქედში მუშაობდა და სტიქაროსანიც იყო.

თორნიკე ტაყუნაშვილი: „სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. მეათე კლასში განათლების სამინისტროსგან საჩუქრად ნოუთბუქი მივიღე, ეს კი მშობლების დამსახურება იყო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ოსუ-ში ვსწავლობ, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. პირველ რიგში ეს უდიდესი სიხარულია, განცდა იმისა, რომ სკოლის პერიოდში სწავლას და შრომას უქმად არ ჩაუვლია და აფასებენ. არ მეგონა, თუ რაიონის მასშტაბით მხოლოდ ოთხმა აბიტურიენტმა მიიღო 100%-იანი გრანტი, უფრო მეტს ველოდი და ამ ფონზე იმის გაგება, რომ მხოლოდ ოთხმა მოვიპოვეთ სრული დაფინანსება, ეს მართლა საამაყოა. პირველ რიგში მინდა უნივერსიტეტის წარმატებით დასრულება. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ცოდნისა და გამოცდილების მიღება. შემდეგ აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში. მინდა წარმატებული იურისტი ვიყო.

კონკრეტულად გადაწყვეტილი არ მაქვს, რომელი განხრით წავალ, მაგრამ პროკურატურა მზიბლავს და ვფიქრობ ამ კუთხით დავინერგებ პროფესიულ კარიერას. სკოლაში, ცხადია, ძლიერ მოსწავლედ ვითვლებოდი. ხშირად ვიღებდი სხვადასხვა სახის ოლიმპიადებში მონაწილეობას და წარმატებები მქონდა ხოლმე. ვცდილობ, ყველა საგანი ერთნაირად ვისწავლო. თუმცა, გამორჩეულად ისტორია და ლიტერატურა მიყვარს. ვთვლი, რომ ადამიანმა საკუთარი თავისა და სამყაროს შესაცნობად აუცილებლად კარგად უნდა ისწავლოს. რაც შეეხება ტექნის შეკითხვას, რამენად არის სწავლისთვის შესაფერისი გარემო საზღვრისპირა სოფელში, გვიასუხებთ, რომ პირიქით ვფიქრობ. ის რომ მე ასეთ მომორბულ სოფელში ვცხოვრობდი, სულაც არ მიმძლიავს სწავლაში. სათანადო პირობები მხოლოდ სკოლაში და სახელმწიფოში კი არ უნდა შეგიქმნას, თავად უნდა ეცადო გქონდეს ერთუზიანში და პირობები. ნიგნი ყველაგანაა და მთავარია მონდომება. თუ შენში სურვილი დიდია, ამ შემთხვევაში სწავლას ყველაფერი მოახერხებ. მიმაჩნია, რომ სოფელში სწავლის მხრივ ნაკლებადაა პრობლემა. უფრო სპორტის განვითარების მხრივ ვხედავ პრობლემებს. ზოგადად, სწავლა რომ მიყვარს, ეს ჩემი მშობლების დამსახურებაა. თუმცა, პედაგოგებიდან ჩემს დამრიგებელს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ირა ფირცხალიაშვილს გამოვარჩევ. მშობლები არ მძლეოდნენ ზარმაცობის საშუალებას, ყოველთვის მეხმარებოდნენ გაკვეთილების მომზადებაში, ამიტომ ჩემს ყველა წარმატებას მშობლებს ვუკავშირებ. ნიჭიერებაში დედას მამსაგავსებენ. სპორტულ ცხოვრებას მივდევი. ძალისხმობაში ვვარჯიშობ, ოღონდ დამოუკიდებლად. ხშირად ვთამაშობ ასევე ფრენბურთს და პინგპონგს. მას შემდეგ, რაც სტუდენტის გავხდი, აღმოვაჩინე, რომ ოსუ-ში შესანიშნავი მკლავჭიდის დარბაზი გვაქვს და სწავლის პარალელურად ვაპირებ კვლავ აქტიურად დავკავდე სპორტით.“

პ.ს. გაზეთი „შირაქი“ უერთდება მილოცვებს და ყველა პედაგოგს პროფესიულ დღეს ულოცავს.

ილია მარტყოფლიშვილი



ულოცავინ!

გიორგი პაპაჩაშვილს!
ქეთი ჯარბელაშვილს!

ჩვენს საყვარელო გიორგი და ქეთი, გილოცავთ პატარა ნიკოლოზის დაბადებას. ახლადდაბადებულს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას და ბედნიერ ბავშვობას.

მთელი გულით გვიხარია თქვენი სიხარული, გლოცავთ და გეფერებით.

ღიღი სიყვარულით, მამიდა ცისანა პაპაჩაშვილი, ბიძა პასიკო მინთაშვილი, მამიდაშვილი ლევან მინთაშვილი.

ყურადღება!

ყვიდი ან იაფად ვაქირავებ 20 ჰექტარ სახნავ მიწას შირაქში. დარეკეთ:

591977-326

მადლიერება

ვარ მარტოხელა დედა, მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, ასევე სოციალურად დაუცველი და უკიდურესად გაჭირვებული. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ვცხოვრობ ნაქირავებ ბინაში, დედოფლისწყაროს რაიონში.

არასამთავრობო ორგანიზაცია სათემო კავშირმა (ვახუშტის ორგანიზაცია) და მისმა ხელმძღვანელმა დავით ლეკაშვილმა გაიზიარა ჩემი პრობლემები და გამიწვია დახმარება, მომიტანეს ჰიგიენური ნივთები და პროდუქტი, რაც ძალიან დეხმარა ჩემს ოჯახს.

გაზეთ „შირაქის“ საშუალებით მადლობას ვუხდით ბატონ დავით ლეკაშვილს და არასამთავრობო ორგანიზაცია სათემო კავშირს.

პატივისცემით, მანა პაჩინაშვილი

ამინდი

ორშაბათი 06.10 დღე ღამე	სამშაბათი 07.10 დღე ღამე	ოთხშაბათი 08.10 დღე ღამე	ხუთშაბათი 09.10 დღე ღამე	პარასკევი 10.10 დღე ღამე	შაბათი 11.10 დღე ღამე	კვირა 12.10 დღე ღამე
19°	15°	16°	13°	13°	11°	17°
15°	16°	13°	11°	17°	12°	20°
14°	14°	11°	11°	10°		

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებსე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრინიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ფოტო-მწერელი); მზია ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფირსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.